ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 24 დეკემბერი, 2009 №329 (5070) ფასი: 30 თეთრი

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

ლორის გრიპის 852 შემთხვევაა დაფიქსირებული გვ.2

გვ.2

ხელისუფლება თბილისელ პენსიონერებს უფრო აფასებს

კავკასიონზე 24 ულელტეხილს ორივე მხრიდან რუსეთი აკონტროლებს

ლარსის გახსნა საქართველოსთვის სახიფათოა

გვ.6

ჯოზეფ ქეიმ მარცხი იზეიმა!

გვ.4

სააკაშვილის შეცდომები ოპოზიციას გააერთიანებს

გვ.3

სააკაშვილმა მთების მოჭრის ბრძანება გასცა

ქვეყანაში სპონტანური, არანორმალური გადაწყვეტილებები მიიღება

გვ.2

გიბრალტარის სასამართლომ ტრასტების 86%-ის მესაკუთრედ ინა გუდავაძე ცნო გვ.4

კონტროლის პალატა საგარეო საქმეთა სამინისტროს შეამოწმებს

გვ.6

პუტინს დეპუტატებმა რჩევები მისცეს

გვ.3

გვ.7

არჩევნებს მოსახლეობის ნაწილი ბოიკოტს გამოუცხადებს

როგორ უნდა შეარჩიოს ოპოზიციამ ერთიანი კანდიდატი

8 რენი ჰარლინის ფილმის პოსტერი უკვე გამოჩნდა

4 ახალაია სამხედროებისთვის ავტორიტეტი ვერ იქნება

8 საბალეტო დასი საახალწლოდ „მაკნატუნას“ იცეკვებს

8 ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი საუკეთესოებს დააჯილდოვებს

ღორის გრიპის 852 შემთხვევაა დაფიქსირებული

ნონა ცაბა ე

საქართველოში ღორის გრიპის ვირუსით უკვე 7 ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის 4 ორსული. ორი დღის წინ ქუთაისში კიდევ ორი ქალბატონი გარდაიცვალა, 29 წლის ელენე გვრელიძე და 18 წლის სოფო იოსელიანი, რომელიც ექვსი თვის ორსული იყო. გარდაცვლების მიზეზი, ორივე შემთხვევაში, ღორის გრიპის გართულებული ფორმა აღმოჩნდა. მედიკოსები აღნიშნული დაავადების გართულების პრევენციის მიზნით მოსახლეობის აღნიშნული გრიპისთვის დამახასიათებელი სიმპტომების აღმოჩენისთანავე სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვას ურჩევენ.

თუ რა მდგომარეობაა დღეისათვის, იკლო თუ არა დაავადებათა მატებამ, ამ და სხვა საკითხებზე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილეს, **შოთა ცანავას** ვესაუბრეთ.

— ბატონო შოთა, როგორია დღევანდელი მონაცემები, ლაბორატორიულად რამდენი შემთხვევაა დადასტურებული?

— დღეისათვის ლაბორატორიულად დადასტურებულია 852 შემთხვევა. შემთხვევათა ზრდას აქვს ადგილი, მაგრამ მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებებში თანდათან კლებულობს, ეს ძალიან კარგია, ზრდის ტემპი რომ კლებულობს, მაგრამ ამ ეტაპზე უმთავრესია დაუყონებლივ მიმართვა სამედიცინო დაწესებულებებისათვის, შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად, ამ ეტაპზე ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე პირებმა უნდა მიმართონ გრიპის სიმპტომების აღმოჩენისთანავე სამედიცინო დაწესებულებებს. მაღალი რისკის მქონე პირები არიან ორსულები, ქრონიკული ინფექციებით მოავადე ადამიანები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, სასუნთქი სისტემის თუ სხვა სისტემებით მოავადენი და ჩვილი ბავშვები, ეს არის ყველაზე მაღალი რისკის მქონე ჯგუფები, რომლებსაც ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ შემთხვევის აღმოჩენისთანავე გაიარონ კონსულტაცია შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში, სახლის პირობებში ამ ჯგუფის პირებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იმკურნალოს, რადგან ვიმეორებ მათვის გართულებების რისკი ძალიან მაღალია.

— დღეისათვის რამდენია გარდაცვლილი?

— გარდაცვლების 7 შემთხვევაა დაფიქსირებული.

— დღეისათვის თუ გაკავთ მძიმე პაციენტები?

— რამდენიმე პირი კიდევ არის მძიმე მდგომარეობაში, მართვით სუნთქვაზეა. სიტუაცია არის სრულიად კონტროლირებადი. აუცილებლად უნდა შეავსრულოთ ის რეკომენდაციები, რომელსაც იძლევა ჯანდაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლის ცენტრი და მიმართოთ გართულებების თავიდან ასაცილებლად სამედიცინო დაწესებულებებს და მივიღოთ ექიმის კონსულტაცია, რადგან დაგვიანებული ჰოსპიტალიზაციაა ყველა ამ გართულების და შემდეგ გარდაცვლების ერთ-ერთი მიზეზი.

— ეპიდემიის საშიშროება არის?

— ეს არის სეზონური მატება, პროგნოზირებადი, რომელიც იყო და არის. წინა კვირა იყო მკვეთრი მატების კვირა, ახლა ვართ პიკზე და საჭიროა პოტენციური გართულებების თავიდან ასაცილებლად ძალიან ფრთხილად და ყურადღებით ვიყოთ. მკურნალობის ტაქტიკას და სტრატეგიას ექიმი განსაზღვრავს.

— შემთხვევათა მატების საშიშროება რამდენად არის მოსალოდნელი?

— შემთხვევათა მატება, ალბათ, ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდება, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი, ახლა მთავარია გართულებების თავიდან აცილება და დაუყონებლივ მიმართვა სამედიცინო დაწესებულებებისათვის, ყველამ უნდა გაიგოს ეს, განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე პირებმა. დაგვიანებული ჰოსპიტალიზაცია და მაღალი რისკის მქონე პირები, ძირითადად ეს არის გართულების და გარდაცვლების მთავარი მიზეზი.

— დღეისათვის რამდენი პირი გადის მკურნალობას?

— როგორც გითხარით, მიმართვები შემცირდა, შემცირდა იმ თვალსაზრისით, რომ მატების ტემპიც შემცირდა, მაგრამ ეს არ გვაძლევს დამშვიდების საფუძველს, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ საღი აზრით უნდა მივუდგეთ ამ ტენდენციას და გამოვიჩინოთ დიდი სიფრთხილე.

ხელისუფლება თბილისელ პენსიონერებს უფრო აფასებს

ნანა მიშელაშვილი

სოციალური საკითხები ნებისმიერი არჩევნების წინ აქტუალურია. გამონაკლისი არც ამჟამად არის. პარტიები წინასაარჩევნო კამპანიას სწორედ სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებზე აგებენ.

სოციალურ პროექტებზე აქცენტს აკეთებს როგორც სახელისუფლებო პარტია, ისე ოპოზიცია. პენსიონერებსა და პედაგოგებზე ზრუნვას ერთმანეთს თითქმის ყველა პარტია ეცილება. ამიტომაც პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანია თითქმის ერთმანეთის იდენტურია.

გამონაკლისი არც საპარლამენტო ოპოზიციაა. მათ გუშინ ერთმანეთის მიყოლებით სწორედ სოციალურ თემებზე გამართეს ბრიფინგი. პენსიონერებთან დაკავშირებით ბრიფინგი ჯერ „ქრისტიან-დემოკრატებმა“ გამართეს, შემდეგ „ქართული დასის“ ლიდერმა.

„ქრისტიან-დემოკრატებმა“ პენსიონერებზე ზრუნვა მერის პირდაპირ არჩევნებსაც დაუკავშირეს. გუშინ პარლამენტში ბრიფინგი გამართა „ქრისტიან-დემოკრატმა“ მაგდა ანიკაშვილმა და ის ფაქტი გააპრეტესტა, რომ სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები პენსიონერები დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არიან.

თბილისის მერის ინიციატივით, თბილისში ხანდაზმულთათვის პენსია 10 ლარით გაიზრდება. მაგდა ანიკაშვილის თქმით, თბილისში პენსიის 10 ლარით გაზრდისა და 25 ლარიანი ე.წ. ფარმაცევტული ვაუჩერის დარიგების თაობაზე არის ქვეყნის ხანდაზმული მოსახლეობის უსამართლო დაყოფისა და სახელმწიფო დახმარების არათანაბარი განაწილების მცდელობა. ანიკაშვილის შეფასებით, ასეთი მიდგომა რეგიონებში მცხოვრებ პენსიონერებს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აქცევს.

დეპუტატმა მოიშველიანა კანონი „სახელმწიფო პენსიების შესახებ“, რომლის წინაშეც თანასწორი არიან როგორც დედაქალაქში მცხოვრები ხანდაზმული მოქალაქეები, ისე რეგიონების პენსიონერები, რადგან მათ საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, საკუთარი შრომითა და მონდომებით თანაბარი წვლილი შეიტანეს ქვეყნის განვითარებაში.

— „ქრისტიან-დემოკრატები“ ვაცხადებთ, რომ, რა თქმა უნდა, დღევანდელი პენსია ძალიან მცირეა და აუცილებელია მისი გაზრდა, მაგრამ ის მცირეა როგორც თბილისში, ისე ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში და ნებისმიერ სხვა ქალაქსა თუ სოფელში მცხოვრები მოქალაქეებისთვის. წამლების შეძენა ძალიან უჭირთ თბილისელ პენსიონერებს, მაგრამ მედიკამენტები ასევე არ არის ხელმისაწვდომი რეგიონებში მცხოვრები ასაკოვანი ადამიანებისთვის, — განაცხადა მაგდა ანიკაშვილმა.

„ქრისტიან-დემოკრატები“ ინიციატივით გამოდიან, სასწრაფოდ დაინყოს კონსულტაციები ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობებთან და იანვრის თვიდან დედაქალაქის პარალელურად შეღავათი მიიღოს საქართველოში მცხოვრებმა ყველა პენსიონერმა.

— თბილისელ პენსიონერებზე ზრუნვას „ქრისტიან-დემოკრატები“ მხოლოდ მივესალმებით, მაგრამ ჩვენთვის მიუღებელია ხანდაზმულთა დაყოფა და მათი ნაწილისთვის პრივილეგიების მინიჭება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, — ასეთია ანიკაშვილის პოზიცია.

დეპუტატის განცხადებით, „ქრისტიან-დემოკრატები“ მეორე წელია ითხოვენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების გათანაბრებას ხანდაზმულობის პენსიასთან, მერიის ინიციატივა კი კიდევ უფრო ზრდის ამ თანხებს შორის სხვაობას. „რაც ფასდება რომ ინვალიდთა დისკრიმინაცია და ეწინააღმდეგება საერთაშორისო პრინციპებს“, — აღნიშნა ანიკაშვილმა.

ბრიფინგზე მყოფმა „ქრისტიან-დემოკრატმა“ ლევან ვეფხვაძემ დედაქალაქსა და რეგიონებში მცხოვრები პენსიონერების სხვადასხვა ვითარებაში ჩაყენება პოლიტიკური კუთხით შეაფასა.

ლევან ვეფხვაძის განცხადებით, მოტივაცია ცნობილია, თუ რატომ იზრდება თბილისში მცხოვრები ადამიანების პენსიები და არა დანარჩენ რეგიონებში მცხოვრებთა პენსიები.

— ეს საკითხი თბილისის მერის პირდაპირ არჩევნებს ებმევა. დანარჩენ ქალაქებში კი მერის პირდაპირი არჩევნები არ ხდება, ამიტომაც სურთ წარმოაჩინონ, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი თბილისელების პენსიებზე ზრუნავს, — ამბობს ლევან ვეფხვაძე.

ოპოზიციონერ დეპუტატს ერთი რიტორიკული შეკითხვაც აქვს: ყველა პენსიონერმა თბილისში რომ მოინდომოს დარეგისტრირება, მაშინ რას იზამს დედაქალაქის ხელმძღვანელობა?

„ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელები დღეს ყველა ქალაქში პრესკონფერენციას გამართავენ და ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართავენ, რომ პენსიონერებს პენსია გაეზარდოთ.

„ქრისტიან-დემოკრატების“ გარდა, გუშინ პენსიონერთა დაცვის საკითხებზე დეპუტატი ჯონდო ბაღათურიაც აქტიურობდა.

ბაღათურიამ იმ სოციალურ პროექტებზე ისაუბრა, რომელიც „ქართულმა დასმა“ დააყენა და უკვე განხორციელდა ან 1 იანვრიდან განხორციელდება.

ერთ-ერთი ინიციატივა, რომელზეც დეპუტატი აქტიურობდა, შეეხება პენსიონერთა მგზავრობის საფასურს. ჯონდო ბაღათურიას თქმით, თბილისში პენსიონერებისა და ღარიბი მოსახლეობის მგზავრობის საფასური განახევრდება და 40 თეთრის ნაცვლად 20 თეთრი იქნება.

„ქართული დასის“ სტრატეგიულ, სოციალურ პროექტს უწოდებს ბაღათურია მინიმალური პენსიის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებას. ბაღათურია მოითხოვს, რომ მინიმალური პენსია საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდეს და ეტაპობრივად გაიზარდოს.

— უკვე გადაწყვეტილია, რომ თბილისში 1 იანვრიდან პენსიონერთათვის პენსია გაიზრდება, თუმცა, ეს არ არის საკმარისი, ვეძებთ კიდევ 16 მილიონს, რათა პენსია პირველ ეტაპზე გაიზარდოს 25 ლარით, — აღნიშნა ბაღათურიამ.

ბაღათურიას თქმით, 2 თვის წინ, როდესაც „ქართულმა დასმა“ ეს ინიციატივა წარადგინა, კომენტარები კეთდებოდა, რომ რესურსი არ არსებობს, რათა პენსიები გაიზარდოს.

— როგორც კი არჩევნები მოახლოდა და გაუჭირდათ, ეს რესურსები გამოძებნეს. ბიუჯეტიდან 200 მილიონი ლარია გამოყოფილი გამგებლებისთვის, რათა მათ ხმები მოაგროვონ, ანუ ეს 200 მილიონი გამოყოფილია ძალაუფლების შენარჩუნებისთვის. ამიტომ საპარლამენტო უმრავლესობას ვთავაზობ, ეს თანხა პენსიების ზრდას, დასაქმებისა და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას მოახმარონ, — აღნიშნა ბაღათურიამ.

ოპოზიციონერი დეპუტატი ასევე საუბრობს დაგროვილი კომუნალური გადასახადების ჩამოწერაზე. ბაღათურიას თქმით, მიაღწია შეთანხმებას, რომელიც ოქმით არის გაფორმებული, რომ თბილისელებს უნდა ჩამოეწეროთ დაგროვილი კომუნალური დავალიანება, იგულისხმება წყლისა და დასუფთავების დავალიანება. დეპუტატის თქმით, ეს პირობა ნათქვამია და ის უნდა შესრულდეს.

საკაკაშვილმა მთების მოჭრის ბრძანება გასცა

ქვეყანაში სპონტანური, არანორმალური გადაწყვეტილებები მიიღება

გულიკო ბალა ე

მწვანეთა პარტიის ლიდერ გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, ქვეყანაში არანორმალური, სპონტანური გადაწყვეტილებები მიიღება, რისი ავტორიც მიხეილ სააკაშვილია.

სააკაშვილის კარზე ქართული სახელმწიფოს, ქართული მენტალიტეტისა და საქართველოს ისტორიის დავიწყების პიარტექნოლოგიები მუშავდება, რისთვისაც ხელისუფლებას კანცელარიაში დაქირავებული მრჩეველთა ჯგუფი ჰყავს. ერთ-ერთი ასეთი პიარტექნოლოგიის ნაწილია, მაგალითად, მარტყოფის ველებზე ნაგავსაყრელის გაკეთება.

— სააკაშვილს, როგორც ყოველთვის, ახასიათებს სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტილებაა ნორიოში ნაგავსაყრელის გადატანა. ეტყობა დილით ნაბახუსევზე გაიღვიძა, თავში რაღაც იდეა მოუვიდა და გადაწყვიტა, მერის არჩევნების მოგების ხელშეწყობისა და უგულავას დასახმარებლად — მაქსიმალურად მეტი ხმების ასაღებად, ვლდანის მოსახლეობის დიდი ხნის პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ნაგავსაყრელთან, გადაწყვიტოს საქართველოს ისტორიის ხარჯზე. საქართველოს ისტორიისთვის სიმბოლური დატვირთვის მატარებელია მარტყოფის ველი. სააკაშვილმა კი გადაწყვიტა, იქ, სადაც ისტორიული ომები ჩატარდა, გადაიტანოს ვლდანის ნაგავსაყრელი. წარმოგიდგენიათ, რაზეა ლაპარაკი? — განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ, — მხოლოდ იმაზე ხომ არ არის საუბარი, რომ ამ ადგილზე საქართველოს გადარჩენის გრანდიოზული ომები მიმდინარეობდა, ქართველმა გმირებმა უდიდესი გამარჯვებები მოიპოვეს, გიორგი სააკაძემ მტრებზე დიდი გამარჯვება მოიპოვა, არამედ იქ არის შეეძვსე საუკუნის უნიკალური კულტურული შემკვიდრეობის ძეგლები, იქ არის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი, ქრისტიანობის უძველესი ძეგლი ღვთაების სამონასტრო კომპლექსი, ანტონ მარტყოფელის სვეტი და ა.შ. ამ ტერიტორიის ნაგავსაყრელად გადაქცევა არის განსაზღვრული, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ.

— ბატონო გიორგი, როგორც ფიქრობთ, ამას რატომ აკეთებენ? მხოლოდ დღევანდელობით ცხოვრობენ, თუ უფრო დიდ პრობლემასთან გვაქვს საქმე?

— სახელისუფლებო მედიას თუ აკვირდებით, მას შემდეგ, რაც სააკაშვილი და ხელისუფლების წარმომადგენლები ხელისუფლებაში მოვიდნენ, ყოველთვის ცდილობენ, ჩაუნერგონ მოსახლეობას, რომ საქართველოს ისტორია არ ჰქონია. ამათ დაინწყეს საქართველოს ისტორიის შეეძნა.

— ეს პიარისთვის კეთდება თუ სხვა მიზნები აქვთ?

— ეს არ არის პიარის შემადგენელი ნაწილი, ეს სხვა რამეა.

— შავი პიარი?

— არა! ეს არის ცნობილი ფსიქოლოგიური მანევრი საზოგადოების ზომბირებისთვის. იცით, როგორ ხდება ზომბირება? ყველა სპეცსამსახურს აქვს ტექნოლოგიები, რომლის საშუალებითაც ისინი გარკვეულ ჯგუფებს ზომბირებას უკეთებენ და მერე ამ ხალხს იყენებენ ტერაქტებისათვის, ქილერებად ზრდიან. ცნობილი ტექნოლოგიაა, თუ გინდა ადამიანი დაზომბირო, მას მეხსიერება უნდა წაუშალო, ანუ უნდა შექმნა დაუნერავი დფფა, რომელზეც რასაც გინდა, იმას დაწერ. ასეთ ტექნოლოგიის მიმართავს არსე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ღვედრაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მალლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

პუტინს დეპუტატებმა რჩევები მისცეს

ნანა მიშელაშვილი

ვლადიმერ პუტინის ინიციატივას მოსკოვში „დიდების მემორიალის“ დადგმასთან დაკავშირებით ქართველი დეპუტატები გამოეხმაურნენ. დეპუტატებს პუტინის ინიციატივასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები აქვთ.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „დიდების მემორიალი“ მოსკოვში, „პოკლონნაია გორაზე“ დაიდგმეცა. ამის შესახებ მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა განაცხადა.

ლუჟკოვმა რუსულ მედიას უთხრა, რომ ვლადიმერ პუტინის დავალებით მემორიალისთვის კონკრეტულ ადგილს დღეს შეარჩევენ და ამ საქმით დაკავებულია მოსკოვის მთავარი არქიტექტორი და კულტურის სამინისტრო.

იური ლუჟკოვმა ასევე აღნიშნა, რომ ძეგლის ხელახალი შექმნის თხოვნით მემორიალის ავტორს მიმართავენ.

ქუთაისში „დიდების მემორიალი“ 19 დეკემბერს აიფეთქეს. ეს აფეთქება ტრაგედიით დამთავრდა. 8 წლის გოგონა და მისი დედა აფეთქების შედეგად დაიღუპნენ.

ვლადიმერ პუტინის მოსაზრებაზე მოსკოვში „დიდების მემორიალის“ ხელახალ შექმნასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთეს როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის წევრებმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელის კობა ხაბაზის შეფასებით, „დიდების მემორიალთან“ დაკავშირებით რუსეთის პრემიერის ვლადიმერ პუტინის მიერ გაკეთებული განცხადება „პირდაპირ შესაბამისობაშია მის ოცნებებთან და მენტალიტეტთან“.

— ცნობილია, რომ კომუნისტურ-კაგებეშნიკურად მოაზროვნე პუტინი საბჭოთა კავშირის დიდების აღდგენაზე ოცნებობს. მისთვის საბჭოთა კავშირი იდეალია, ჩვენთვის ბოროტების იმპერია, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ხაბაზმა.

უმრავლესობის წევრის შეფასებით, სასაცილოა, როდესაც პუტინი ფაშიზმზე საუბრობს. დეპუტატი დარწმუნებულია, რომ პუტინის ინიციატივას აქტიურად გამოეხმაურებიან ებრალიძე-აბაშიძე და ძმანი მისნი, რომლებიც „ნიანგის ცრემლებს“ დაღვრიან და ამით რუსეთის ხელისუფლების კეთილგანწყობის მოპოვებას შეეცდებიან.

რაც შეეხება უმცირესობას, პუტინის იდეასთან დაკავშირებით საკუთარი რჩევები აქვს ვიცე-სპიკერ ლევან ვეფხვაძეს.

ოპოზიციონერი დეპუტატი რუსეთის ხელისუფლებას ურჩევს იმ ქართველების ხსოვნას მეტი პატივი მოაგოს, რომლებმაც რუსეთის ისტორიაში თავის წვლილი შეიტანეს, ბაგრატიონიდან დაწყებული, დანარჩენებით დამთავრებული და მერე აღმართონ მოსკოვში „დიდების მემორიალი“.

— ჯერ პატივი მიაგონ იმ ადამიანებს, ვინც დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთის ისტორიაში და მერე გადაიტანონ და დადგან მოსკოვში დიდების მემორიალი, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

დეპუტატი ვეფხვაძე ასევე საუბრობს გაეროს გადაწყვეტილებაზე. ვეფხვაძის თქმით, გაერომ მოუწოდა ქვეყნებს, რომ ძეგლები, რომლებიც აღნიშნავენ მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვებას, არ მოახდინონ მათი დემონტაჟი.

— ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულებას ვერ ვხდები, იმიტომ, რომ მათ გაათანაბრეს ეს ძეგლი საბჭოთა ჯარისკაცის მიმართ სიმბოლურად გამოსახულ ძეგლებთან. პოლონეთში, ცოტა სხვა სიტუაციაა, იქ რუსი ჯარისკაცისთვის აღმართული ძეგლებია, ჩვენთან არის ძეგლი, რომელიც იმ ქართველების მოსაგონარია, ვინც მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა და ასეთი დაახლოებით 300 ათასი ადამიანია, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

დეპუტატის განცხადებით, ქუთაისში, სადაც „დიდების მემორიალი“ იდგა, იმხელა ფართობია, რომ იქ არა მარტო ერთი, არამედ სამი პარლამენტი დაეტეოდა.

სააკაშვილის შეცდომები ოპოზიციას გააერთიანებს

როგორც ოპოზიციის დიდი ნაწილი, ირაკლი ბათიაშვილიც იმ ფაქტს, რაც ქუთაისში მოხდა, მორიგ ბარბაროსულ აქტად აფასებს ჩვენი ხელისუფლების მხრიდან. თუმცა, ეს შემთხვევა ტრაგიკულად დასრულდა და მას ორი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაჭერები და დანაშაულის სხვისთვის გადაბრალების მცდელობა კვლავაც გრძელდება, თუ საჭირო გახდება, ჩვენი პრეზიდენტი ნახევარ ქუთაისს დაიჭერს, ოღონდ თვითონ სუფთად გამოძვრეს. პროკურატურა ყოველდღიურად ახალ-ახალ სანახაობას მართავს იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ დაირღვა უსაფრთხოების ნორმები საქფეთქმრეწვის მხრიდან და გვიმტკიცებენ, რომ დამნაშავენი მხოლოდ ესენი არიან. როგორც პროკურატურაში განმარტავენ — უნეშად დაირღვა კანონით დადგენილი ნორმატივები, რომლითაც ასეთი ტიპის სამუშაოებისას უსაფრთხოების წესების დაცვა ხორციელდება.

ნონა ცაბა ე

ირაკლი ბათიაშვილი:

— ქუთაისში რაც მოხდა, მე ვგულისხმობ დიდების მემორიალის აფეთქებას, რომელსაც მოჰყვა უმძიმესი ტრაგიკული შედეგი, მე შევაფასებდი, როგორც ბარბაროსულ აქტს ამ ხელისუფლების მხრიდან. არაერთი საძაგელი და ბარბაროსული აქტი ჩაიდინა ამ ხელისუფლებამ, მათ შორის, როდესაც თაბუკაშვილის ქუჩაზე კორპუსი დაუნგრია ხალხს, მაგრამ ეს იყო ყველაზე შემზარავი ბარბაროსული აქტი, ერთი მხრივ ხელყოფა ძეგლის, მემორიალის და მეორეს მხრივ ისეთი სახის ხელყოფა, რომელსაც მოჰყვა ასეთი უმძიმესი შედეგი და შეიწირა ქალის და ბავშვის სიცოცხლე.

— მიუხედავად ამისა, ჩვენი ხელისუფლება გეგმავს იმ ადგილას პარლამენტის შენობა ააშენოს, რამდენად არის იმის საჭიროება, რომ პარლამენტი ქუთაისში გადავიდეს?

— მე ვხედავ საჭიროებას, რომ ქუთაისს მიეხედოს სერიოზულად, ჩვენი საქართველოს მეორე უმნიშვნელოვანეს ქალაქს, მართლაც და უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ქალაქს, რომელსაც უამრავი პრობლემა აქვს წლების განმავლობაში დაგროვილი, ინფრასტრუქტურული, სოციალური და ასე შემდგომ. ამას მიეხედოს და ეს თეატრალიზებული პიარაქციები არ არის საჭირო, პარლამენტის შენობის აშენებით ქუთაისს და ქუთაისელებს ბევრი არაფერი წაადგებათ, არც ეკონომიური, არც სოციალური და არც პრესტიჟის თვალსაზრისით. უბრალოდ, ქუთაისში მოუხდებათ ხშირად სიარული ჩვენს დეპუტატებს, ამიტომ დასაქმების თვალსაზრისითაც ადგილობრივების, არც ამ მხრივ პარლამენტის იქ აშენებას არანაირი ეფექტი არ ექნება. სხვა მხრივ რაც მოჰყვა ამ ყველაფერს, ჩვენ უკვე ვხედავთ.

— დაახლოებით 50 მილიონია საჭირო ახალი პარლამენტის შენობისათვის, როგორ ფიქრობთ, დღეს სახელმწიფოს ამის ფუფუნება აქვს?

— იცით, რა არის, ეს ყველაფერი სერიოზულ ეჭვებს ინვევს, ისევე, როგორც ის 90 მილიონი, რომელიც გამოყოფილია ვარაზის ხევის და საბურთალოს დამაკავშირებელი ე.წ. ჩქაროსნული ტრასის მშენებლობისათვის, რომელიც გიგი უგულავამ წამოიწყო და უმოწყალოდ გაჩეხა მზიური. მე იქ მინევს ყოველდღე ვარჯიში და ვიცი, იქ რა საშინელებაც ხდება და აი, ეს თანხები, რაც გამოყოფილია, 90 მილიონი ამაზე, 50 მილიონი ახლა პარლამენტის შენობისთვის, ეჭვებს ინვევს, რომ რეალურად რაღაც სხვა მიზნებისთვის უნდათ. ამ თანხების დიდი ნაწილი სად წავა, რა მიზნებს მოხმარდება, ეს ყველაფერი გათვლილია ნაცმოძრაობის მიზნებზე, ინტერესებზე, ამოცანებზე, ალბათ, თანხის ნაწილი არჩევნებისთვისაც სჭირდებათ.

— ფიქრობთ, რომ ეს ფულის გათთერების მარტივი გზაა?

— რასაკვირველია. ამას მე კი არ ვფიქრობ, საზოგადოებაში არის ეს ეჭვები.

— რაც შეეხება ისევ ქუთაისში მომხდარ შემთხვევას, პრეზიდენტმა მოხსნა გუბერნატორი, დაიჭირეს საქფეთქმრეწვის რამდენიმე თანამშრომელიც, საზოგადოებას დაეუფლა განცდა, რომ სააკაშვილმა მათ ხელი შეახოცა...

— რა თქმა უნდა, ამ ხალხზე უნდათ გადატეხონ ყველაფერი, ფაქტია, რომ იმ ტრაგედიას ვერაფერი ვერ გამოასწორებს, დაღუპულია ახალგაზრდა ქალბატონი და რვა წლის ბავშვი. მე ვუფიქრე ჩვენს ტელევიზიებს და როდესაც ოპოზიცია იქ ჩავიდა, ის კი არ გააშუქეს, მოსახლეობაში რამხელა აღშფოთება გამოიწვია ამ ადამიანების დაღუპვამ, ჩადით ქუთაისში და თქვენ დარწმუნდებით, რეალურად რამდენი ადამიანია აღშფოთებული და შეძრწუნებული ამ ფაქტის გამო, არამედ გააშუქეს რამდენიმე მოსაფიდული მოქალაქე ნაცმოძრაობის მიერ, რომლებიც ვითომდა აღშფოთებულები მიუვარდნენ ოპოზიციას.

— ამის ეჭვი ბევრს დაებადა, რომ ისინი მოსაფიდულები იყვნენ...

— რა თქმა უნდა. ეს ადამიანები იმან არ შეაძრწუნა რაც მოხდა, როდესაც მათი თანამოქალაქეები დაიღუპნენ და აწუხებთ ოპოზიციის ჩასვლა?! აი, ეს არ არის უბედურება?

— რჩება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოება დათრგუნული და შეშინებულია, ყველა ელოდა, რომ ქუთაისში მრავალრიცხოვანი აქცია ჩატარდებოდა, თუმცა, ხალხი არ გამოვიდა.

— არ მივიდა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ გაზაფხულზე დაიწყება სერიოზული გამოცვლიქცა საზოგადოებრივი აქტივობის და ამას ჩვენ დავინახავთ, დუღილის პროცესი მიდის, ამას დრო სჭირდება და გაზაფხულიდან პროტესტი აუცილებლად დაიწყება.

— ფიქრობთ, რომ აქციები მაინც საჭიროა?

— კი, საჭიროა და იქნება კიდეც. იცით, რაშია საქმე, როდესაც საუბარია ოპოზიციის ერთიანობაზე, ოპოზიცია ან, ასე ლაპარაკით არასდოს არ გაერთიანებულა, ოპოზიცია ყოველთვის გაერთიანებულა საქმის ირგვლივ და საქმე ეს არის ქმედება, ანუ ეს არის პოლიტიკური აქციები. თუმცა, პარალელურად იცით, რომ ალიანსი მუშაობს არჩევნებთან დაკავშირებით ძალიან სერიოზულად, რაც არის აბსოლუტურად სწორი ტაქტიკა და მე იმედი მაქვს, რომ ოპოზიციის მხრიდან ხელის შეშლა არ იქნება, პირიქით, დაუჭერენ მხარს ირაკლი ალასანიას ამ საკითხში.

— თქვენც ფიქრობთ, რომ ირაკლი ალასანიაა ოპოზიციის გამორჩეული ლიდერი?

— ალასანია, რომ ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერია, რად უნდა ამას ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ ეს არ უნდა გვაღელვებდეს, ვინ არის ან ვინ იქნება ერთადერთი ლიდერი, ასე საკითხი საერთოდ არ უნდა დავაყენოთ — აბა, ვინ უნდა იყოს ერთადერთი ლიდერი, ეს ყოველთვის ხინჯს შეიტანს ოპოზიციის ფრთიერთდამოკიდებულებებში. ჩვენ ახლა უნდა გვაღელვებდეს, როგორ გავათავისუფლოთ ქვეყანა ამ მანკიერი რეჟიმის მარწუხებისაგან. ეს არის ყველა ჩვენგანის საერთო ინტერესი.

— და თქვენ ფიქრობთ, რომ არჩევნების გზით ეს შეუძლებელია?

— ვფიქრობ, რომ არჩევნებს ყოველთვის თავისი წვლილის შეტანა შეუძლია ამ პროცესში. თუ მოხდა მართლაც სასწაული იმ თვალსაზრისით, რომ მიუხედავად იმ საშინელი გაყალბებებისა, ზეწოლისა, მაინც მივაღწიეთ წარმატებას, რაც გამორიცხული ნამდვილად არ არის, ეს იქნება უდიდესი გამარჯვება და თბილისის ხელიდან გამოგლეჯვა ამ ხელისუფლებისათვის. ამისთვის ბრძოლა ღირს და აუცილებელია, ამიტომ ეს ბრძოლა არის გამართლებული, მაგრამ პარალელურად გამართლებულია აქციები. ჩვენ ყველა მშვიდობიანი

პოლიტიკური მეთოდი უნდა გამოვიყენოთ.

— სწორედ ამიტომ, ის ძალა, ვინც მომხრეა იმისა, რომ ჩატარდეს არჩევნები, ხომ არ იქნება უმჯობესი, ერთი კანდიდატის ირგვლივ გაერთიანდეს?

— რა თქმა უნდა, მე მგონია, რომ ამაზე საერთოდ არ უნდა ყოფილიყო რაიმენაირი ყოყმანი, მთელ ოპოზიციას მხარი უნდა დაეჭირა ალასანიას კანდიდატურისთვის.

— თუმცა, დღევანდელი რეალობა სულ სხვაა და ოპოზიციაშიც დიდია დაპირისპირება...

— აი, ეს არის ძალიან სამწუხარო.

— როგორ ფიქრობთ, შეძლებენ გაერთიანებას?

— სიტუაცია გააერთიანებთ, ჩემი პროგნოზი ასეთია. სააკაშვილის შეცდომები და უგუნური პოლიტიკა გააერთიანებს ოპოზიციას. ეს ასე იქნება.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სააკაშვილმა მთების მოჭრის ბრძანება გასცა

ბული ხელისუფლება. რაც ხელისუფლებაში მივიდნენ, მუდმივად ცდილობენ დაანგრიონ მართლმადიდებლური ეკლესია, ისტორიას ხაზი გადაუსვან და თქვან.

— მონარქიასთან დაკავშირებით მსჯელობა რომ დაიწყეს და მონარქიის როლს უარყოფითად აფასებენ, ესეც მაგ ტექნოლოგიის ნაწილია?

— ესენი მონარქიას კი არ ურტყამენ, არამედ მართლმადიდებლურ ეკლესიას. მონარქია საქართველოში ყოველთვის რელიგიასთან, მართლმადიდებლობასთან იყო დაკავშირებული. ეს არის მათი მიზანი. ამიტომ ზომბირების ტექნოლოგიები დაკავშირებულია მედიასთან.

— ეს მეთოდები დამუშავებულია, ობიექტი შესწავლილია და მიზანმიმართულად აკეთებენ?

— დიახ, რა თქმა უნდა, რადგან სააკაშვილს და მის ხელისუფლებას ჰყავთ დაქირავებული მრჩეველები, რომლებსაც ძალიან დიდ ფულს უხდიან. ეს მრჩეველები კანცელარიაში სხედან და ხალხის ზომბირების სქემებს ალაგებენ, ფსიქოლოგიურ პიარმანქანასაც ისინი ხელმძღვანელობენ და ზომბირების მექანიზმესაც ისინი ქიმნიან.

— ანუ პიარტექნოლოგიები ინდივიდუალურად ქართველებისთვის მუშავდება?

— რა თქმა უნდა. ასეთ ტექნოლოგიებს ალბათ არაერთი ჩამორჩენილ ქვეყანაში იყენებენ. ფაქტობრივად იქ, სადაც არსებობს რეჟიმი, რომელიც თითქმის ყველაფერს აკონტროლებს, ამის განხორციელება ძალიან იოლია. ამიტომ, როგორც ჩანს, ქართული სახელმწიფოს, ქართული მეტალიტეტისა და საქართველოს ისტორიის დავნეყების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ნაგავსაყრელის მარტყოფის ველზე გადატანაა. რომელ ნორმალურ ადამიანს მოუვა თავში, რომ მარტყოფის ველის ტერიტორიაზე, სადაც არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, იქაურობა არ არის შესწავლილი, ნაგავსაყრელი გააკეთოს? ნორიოს მოსახლეობის წარმომადგენლები ჩვენთან იმყოფებოდნენ და გვითხრეს, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჯან ანტიკური ხანის ნივთებს პოულობენ, ხან — რას და ხანაც — რას. ასეთ ბარბაროსობასთან გვაქვს საქმე. მე არ ვლაპარაკობ იმაზე, რომ სააკაშვილის აღნიშნული გადაწყვეტილება ყველა კანონს ეწინააღმდეგება, რაც კი საქართველოში არსებობს. გვაქვს ინფორმაცია, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამმართველოც კი წინააღმდეგია იქ ნაგავსაყრელის მშენებლობისა.

ეკოლოგიური და ადამიანის უსაფრთხოების თვალსაზრისით, ნაგავსაყრელის ისეთ ადგილზე მოწყობა გადაუწყვეტიათ, რომ გაბატონებული ქარები პირდაპირ ნორიოსკენაა მიმართული. გარდა ამისა, რომ ანტიისანტარიის ბუდეა და ათასგვარი შხამები და მიკრობები გამოიყოფა, ნაგავსაყრელი საფრთხის შემცველი იმითაც არის, რომ ბაქტერიოლოგიური პროცესები მიდის და შეიძლება იქ დაავადებების გავრცელება მოხდეს. მეორეც — ასეთ ნაგავსაყრელებზე ბიოქიმიური პროცესების გამო ბუნებრივი აალებები ხდება ხოლმე და გამოიყოფა გაზები.

— ჯლდანის ნაგავსაყრელზეც ხომ მიმდინარეობს ამგვარი პროცესი?

— დიახ, აალებები ბუნებრივად ხდება, რადგან იქ გამოიყოფა გაზები, რომლებიც იოლად აალდებიან. ეს კიდევ ცალკე პრობლემაა. გარდა ამისა, არ არის შესწავლილი, რა გავლენას იქონიებს ნორიოში ნაგავსაყრელის გადატანა მინისქვეშა წყლებზე. იქ გრუნტის წყლებია კიდევ. არის ვარაუდი, რომ თბილისის წყალმომარაგება იქ არსებული მიწისქვეშა გრუნტის წყლებით ხდება. ეს ტერიტორია ძალიან ახლოსაა თბილისის ზღვასთან.

— როგორ ფიქრობთ, ამის გაკეთება უბრალოდ თავში მოუვიდათ და გადაწყვიტეს?

— როგორც აკეთებენ საერთოდ. ალბათ გახსოვთ, აჭარაში რა ბრძანებაც გასცა სააკაშვილმა, რაც დადასტურდა. ახლახან სააკაშვილი აჭარაში ჩავიდა და ვარშალომიძეს საუბარში ჰკითხა...

— ფერიის ეკლესიის დანგრევაზე ლაპარაკობთ თუ კიდევ სხვა რამ არის?

— მთის მოჭრაზე ვლაპარაკობ...

— მთის მოჭრაზე?

— დიახ, მთის მოჭრაზე... სააკაშვილმა ვარშალომიძეს ჰკითხა, აჭარაში ტურისტული სეზონი რატომ ჩავარდაო? ვარშალომიძემ უპასუხა, წვიმები იყო, კარგი ამინდები არ იყოო. რატომ იცის წვიმები აქო? აჭარის მთები და ქედები რომ არის, ისინი აქ ღრუბლებს არ უშვებენო. მერე, ადექი და მოჭერი ეგ მთებიო.

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მხრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იაფანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი „იაფანა“, გაზეთი „ახალი თაობა“

ჯოზეფ ქეიმ მარცხი იზეიმა!

ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში ჯოზეფ ქეიმ სხვადასხვა მანიპულაციების საშუალებით დაიწყო მცდელობა იმისთვის, რათა ქართული საზოგადოების წინაშე წარმდგარიყო, როგორც ბადრის ანდერძის „უანგარო“ აღმსრულებელი, მისი სამკვიდროს მმართველი და წარმატებული ბიზნეს იმპერიის დამფუძნებელი. მოგვიანებით, ბადრის ოჯახის წევრთათვის ცნობილი ხდება, რომ ჯოზეფ ქეის პრეტენზიები გააჩნია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განთავსებულ, ბადრის კუთვნილ აქტივებზე.

გიბლარტარის სასამართლოში, სადაც დავა მიმდინარეობდა ინა გუდავაძესა და ჯოზეფ ქეის შორის, ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ ბადრის არავითარი კავშირი არ ჰქონდა ამ აქტივებთან და მხოლოდ თავად იყო მათი ერთპიროვნული მფლობელი. თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა ქეის არგუმენტები და მკვეთრად დაადგინა თავისი აზრი: ამ აქტივის მინიმუმ 86%-ს მესაკუთრეს ბადრის ოჯახი წარმოადგენს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ქეი იტყუება, როდესაც ამტკიცებს, რომ ეს ტრასტები ერთპიროვნულად მას ეკუთვნის.

უფრო მეტიც, სასამართლომ ბადრისა და ჯოზეფის ურთიერთობა შეაფასა, როგორც დამქირავებელს და დაქირავებულს შორის ურთიერთობა. მოსამართლის აზრით კი, ბადრისა და ქეის ურთიერთობის შესაფასებლად, უფრო მართებული იქნებოდა შედარებით მოძველებული ტერმინის — „პატრონი და ყმა“ ხმარება.

მოსამართლე იმასაც აფიქსირებს, რომ ჯოზეფი ბადრის კეთილგანწყობით სარგებლობდა, ახორციელებდა ბადრის კუთვნილი სახსრების ინვესტირებას, რომლებსაც შემდეგ უკვე საკუთარ ინვესტიციებად ასაღებდა.

იკვეთება, რომ ჯოზეფ ქეის ამ აქტივის 100%-ზე ჰქონდა პრეტენზია. თუმცა, ახლა მისი წარმომადგენლების მიერ გამარჯვებად ცხადდება თეორიული პრეტენზიის დაფიქსირება მხოლოდ 14%-ზე, რომელიც ასევე დამტკიცით დეტალურ ფინანსურ გამოკვლევას საჭიროებს. მოსამართლის აზრით, ჯოზეფ ქეის დამოუკიდებელი ინვესტიციის გაჩენის საფუძვლად უნდა ჩაითვალოს ის მომენტი, როდესაც მან ბადრისგან, სავარაუდოდ, მალულად და არამართლზომიერად, მიითვისა „სიბნეფტის“ გარიგებასთან დაკავშირებული საკომისიო. პატარკაციშვილის ოჯახის თხოვნით, მოსამართლემ ქეის კუთვნილ ყველა აქტივზე მსოფლიო შეზღუდვის ორდერი გასცა და მისი ყოველკვირეული საარსებო ხარჯები 1000 ფუნტ სტერლინგამდე შეზღუდა.გიბრალტარის სასამართლოს ბრძანებითვე, ქეის ეკრძალება ნებისმიერი ქმედების განხორციელება ამ აქტივებთან დაკავშირებით.

მას შემდეგ, რაც გიბრალტარის სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა, ჯოზეფ ქეიმ თხოვნით მიმართა მოსამართლეს კონფიდენციალურად დაეტოვებინა საქმის მასალები, განსაკუთრებით კი გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული. იმავდროულად, მოსამართლემ დაკმაყოფილა ბადრის ოჯახის თხოვნა და საქმის მასალებისა და გადაწყვეტილების შინაარსი საჯარო გახადა.

და კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია — ლონდონის სასამართლომ დაკმაყოფილა ოჯახის მოთხოვნა და არ სცნო ქეი ანდერძის აღმსრულებლად და სამკვიდროს განკარგველად, როგორც არასათანადო პირი.

იმედია, ამის შემდეგ მაინც დაინტერესდება ქართული სასამართლო და დაფიქრდება, ვის ანდო სხვისი ქონების განმკარგავის უფლება.

ახალაია სამხედროებისთვის ავტორიტეტი ვერ იქნება

შორენა კოწოწაშვილი

ქართულ ჯარში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ბოლო დროს კრიტიკული შეფასებები მინელდა, თუმცა, ფაქტია, მანამდე, ვიდრე საკაკაშვილის ხელისუფლება იქნება ე. წ. მუხროვანის ამბოხი დამოკლეს მახვილივით იქნება ამ ხელისუფლების თავზე.

მართალია, საკაკაშვილის ნაციონალური მთავრობა და თავად ქვეყნის პირველი პირიც ღიად გვიმტკიცებდნენ იმას, რომ მუხროვანის ბატალიონი თანამოაზრეებთან ერთად სამხედრო გადატრიალებას გეგმავდა, მაგრამ ფაქტია, რომ მუხროვანის ამბოხებისთვის დაპატიმრებულ გენერლებსა და ოფიცრებს პროკურატურამ ვერ წაუყენა უტყუარი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდება გამყარებულიყო და როგორც საზოგადოებას, ისე პოლიტიკურ ოპოზიციას არ ეთქვა, ეს სამხედროები რეალურად პოლიტიკური ნიშნით არიან დაპატიმრებულიო.

მიუხედავად იმისა, რომ გენერალმა კობა კობალაძემ საკმაოდ დიდხანს იშიშვლა, რიგმა ოფიცრებმა უარი თქვეს ჩვენებებზე და დუმილის უფლება გამოიყენეს, ხელისუფლებამ მაინც არ აიღო ხელი ასე ვთქვათ, პირველ ჩვენებაზე და როგორც ადვოკატები ამბობენ, ე.წ. ამბოხებულების მიმართ რეალურად პოლიტიკური განაჩენი დადგება. ანუ მოსამართლეები სამხედროებს მიუსჯიან არა სისხლის სამართლის დანაშაულისთვის, არამედ იმისთვის, რომ მათ პატრიარქის განცხადების შესაბამისად იმოქმედეს.

რა ხდება ქართულ ჯარში აგვისტოს ომის შემდგომ, არის თუ არა ჯარში დაძაბულობის სინდრომი და არის თუ არა ბაჩო ახალაია სამხედროებისთვის მისაღები ფიგურა, ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს სამხედრო ექსპერტ **ნოდარ ეფრემიძესთან.**

— ბატონო ნოდარ, რა მდგომარეობაა ქართულ ჯარში ცნობილი მუხროვანის ინციდენტის შემდგომ? ხელისუფლება ისე წარმოაჩენს, თითქოს ბაჩო ახალაია პირობებში ქართულ ჯარში ყველაფერი დალაგდა და პრობლემები აღარ არსებობს.

— ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ცრუობს. პრობლემები დაიწყო ჯერ კიდევ 2004 წლიდან, როცა საკაკაშვილმა თავდაცვის უწყებაში რეფორმები წამოიწყო. ყველაზე სერიოზული პრობლემა შეიქმნა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდგომ პერიოდში. ყველას კარგად გვახსოვს, რა ძოხდა მაშინ. თვითონ ჯარში ხელისუფლების მიმართ ძალიან უარყოფითი განწყობა იყო. ის სამხედრო ოპერაცია, რომელიც აგვოსტოში ჩატარდა, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. ამის გამო სამხედრო მოსამსახურეებში გაჩნდა ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, რამაც შემდგომში მუხროვანის მოვლენები გამოიწვია. რაც შეეხება ახლა არსებულ მდგომარეობას, გეტყვით: თვითონ სამხედრო მოსამსახურეები თვლიან, რომ ის ადამიანები, რომლებიც მუხროვანის ინციდენტის გამოა დაჭერილი, დაკავებული არიან სრულიად უსამართლოდ. იმიტომ, რომ ისინი, ვინც ვერ დაუკავეს, სხვა სამხედრო ნაწილებში მსახურობდნენ და არ შეუურთდნენ ამ ე.წ. დაუმორჩილებლობას. ისინი ფაქტიურად მხარს უჭერდნენ ამ დაუმორჩილებლობას. ანუ ჯარისკაცებში უკმაყოფილების განწყობილება არის. დაჭერილია ძალიან ბევრი კვალიფიციური სამხედრო ოფიცერი. ე.წ. ამბოხებულთა სასამართლო პროცესზე, როდესაც დაკითხვა მიმდინარეობდა და მოწმეები ჩვენებებს აძლევდნენ, იმ ოფიცრებზე, ვინც დღეს განსასჯელის სკამზეა, ისეთი სიტყვებს ამბობდნენ, რომ ისინი ნამდვილად გმირები არიან. ამ სამხედროებმა გამოიარეს აბსოლუტურად ყველა ომი, როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის ომები, ისე ცხინვალის სამბრძოლო მოქმედებებში იღებდნენ მონაწილეობას. ბოლო ომს რაც შეეხება, აქ ამ ბიჭებმა ნამდვილად ივაჟკაცეს. მათ აბსოლუტურად ყველაფერი გააკეთეს, რისი საშუალებაც ჰქონდათ, მაგრამ შემდგომ სამოქალაქო პირებმა, რომლებსაც არანაირი შეზება არ უნდა ჰქონოდათ სამხედრო ოპერაციებთან და მათ საბრძოლო მოქმედებები კმარას რევოლუცია ეგოონათ, თავიანთი ბრძანებებით ეს სამხედრო ოპერაცია საბოლოოდ ჩააფლავეს. ეს განწყობა სამხედროებში დღემდე არის.

— პროტესტი ჯარში ჯერ კიდევ არსებობს?

— რა თქმა უნდა, არსებობს. ხელისუფლება ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს იმაში, რომ თითქოს ჩვენ აგვისტოს ომში გავიმარჯვეთ. მაგრამ ეს ხომ ბლეფია. ეს ყველაზე უკეთ სამხედროებმა იციან. რამდენიმე ასეული სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. სამარცხვინო დღე-ნახევრიანი ომი წავაგეთ. ასეთი სამარცხვინო ომი ალბათ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს.

— აგვისტოს ომის შემდგომ ხელისუფლებამ ჯარში ახალი რეფორმები წამოიწყო. ამ ახალმა პოლიტიკამ თუ მოიტანა რაიმე დადებითი ტენდენციები ქართულ ჯარში?

— რეფორმები ხომ სამხედროებისთვის და ქართული ჯარის სიძლიერისთვის კეტდება. სამხედრო ძალებში წაგებული ომის სინდრომი საშინელებაა. ამაზე არავინ არ ალაპარაკობს. ამერიკის არმია ვიეტნამის ომის შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გამოდიოდა ამ სინდრომიდან. ეს სინდრომი არის ქართულ ჯარში. ამაზე არ ლაპარაკობენ. ჯარისკაცები, სამხედროები, ოფიცრები, გულგატეხილები არიან. წარმოიდგინეთ, ეს ადამიანები მთელი ცხოვრება ემზადებოდნენ ამისთვის, ისინი მოტივირებულები იყვნენ და მზანი ჰქონდათ, მაგრამ რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო ეს სამხედროები შუა ბრძოლიდან გამოიყვანეს, იყო უაზრო მსხვერპლი. ეს განწყობა და უკმაყოფილება ქართულ ჯარში, რა თქმა უნდა, არის. სამხედროები საპროტესტო მიტინგებს და აქციებს არ აწარებენ, არც პრესკონფერენციებს, რომ საკუთარ პრობლემებზე ისაუბრონ.

— ხელისუფლების განცხადებით, ჯარისადმი უნდობლობა არ არის, პირიქით, გარდაცვლილი ჯარისკაცების ოჯახის წევრები მიდიან ჯარში სამსახურისთვის.

— ეს გასაგებია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება არის კარგი. თუ ვიღაც გარდაცვლილის ძმა მიდის სამხედრო ძალებში, მას მოტივაცია აქვს. მას უნდა თავისი ძმის გზაზე იაროს და დაკარგული დაიბრუნოს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ხელისუფლებით არის კმაყოფილი და ამიტომ მიდის ჯარში. ეს ჯარი არც საკაკაშვილის არის და არც გიგი უგულავასი. ეს არის ქართული არმია.

— ბატონო ნოდარ, რას იტყვით თავდაცვის მინისტრზე, როცა ბაჩო ახალაია დანიშნა, მაშინ ითქვა, რომ დაჭერები და დაპირისპირება მოიმატებდა.

— ჯარი იმდენად მგრძნობიარე ორგანიზმია, რომ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

გიბრალტარის სასამართლომ ტრასტების 86%-ის მესაკუთრედ ინა გუდავაძე ცნო

ნათია ხურცილავა

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ადვოკატებმა ბრიფინგი გამართეს. ბრიფინგის გამართვის მიზეზი ჯოზეფ კეის წარმომადგენლების მიერ წინა კვირას გაკეთებული განცხადება იყო. ინა გუდავაძის ადვოკატები ქეის დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებენ.

18 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ჯოზეფ ქეის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ გიბრალტარის სასამართლოში გამარჯვება მოიპოვეს რო ტრასტთან დაკავშირებით.

— აღნიშნული პრესკონფერენცია წარმოადგენდა ერთის მხრივ გიბრალტარის სამართლოზე განცდილი მარცხის წარმატებად წარმოჩენის მცდელობას, ხოლო მეორეს მხრივ ეს იყო იმ არაასხარბიელო ვითარების დაფარვის ცდა, რომელიც უცხოეთის სხვადასხვა სასამართლოებში ჯოზეფ ქეის ირგვლივ შეიქმნა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლონდონის, ლიხტენშტეინის და ნიუ-იორკის სასამართლოები. მსგავსი იაფფასიანი მეთოდებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, თითოეულ აქტთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მიწოდებით თავი შეგვეწყინა საზოგადოებითვის. — განაცხადა ინა გუდავაძის წარმომადგენელმა ნონა ყანდიაშვილმა.

ადვოკატებმა ლაშა ბირკაიაძე და კობა კვანტარიანმა ისაუბრეს, თუ რა მოხდა გიბრალტარის სამართლო პროცესზე და გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

— როგორც მოგეხსენებათ, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში, ჯოზეფ კეიმ სხვადასხვა მანიპულაციების საშუალებით დაიწყო მცდელობა იმისთვის, რომ ქართველი საზოგადოების წინაშე წარმდგარიყო როგორც ბადრი პატარკაციშვილის ანდერძის „უანგარო“ აღმსრულებელი. მისი სამკვიდროს მმართველი და წარმატებული ბიზნეს იმპერიის დამფუძნებელი. ოჯახისთვის ცნობილი გახდა, რომ კეის პრეტენზია აღარ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთი შეხედვით კეთილშობილური მიზნებით, რომ ყოფილიყო „უანგაროდ“ ანდერძის აღმასრულებელი. მას გააჩნდა პრეტენზია ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილ აქტივებზე, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია განთავსებული. ერთ-ერთ ასეთ აქტივს წარმოადგენს გიბრალტარში არსებული ორი ტრასტი, რომელთან დაკავშირებითაც გიბრალტარის სასამართლოში მიმდინარეობდა დავა ქალბატონ ინასა და ჯოზეფ კეის შორის. ჯოზეფ კეი ამტკიცებდა, რომ ტრასტების 100 პროცენტი წარმოადგენს მის საკუთრებას და ამ ტრასტებთან არანაირი კავშირი ბადრი პატარკაციშვილს არ გააჩნია. ამ პროცესის შესახებ 18 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ჯოზეფ კეის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თითქოს წარმატებას მიაღწიეს, — განაცხადა ადვოკატმა ლაშა ბირკაიამ.

ლაშა ბირკაიას განცხადებით გიბრალტარის სასამართლომ ტრასტების 86 პროცენტის ერთპიროვნულ მესაკუთრედ ინა გუდავაძე სცნო.

— სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, რომ გიბრალტარის სასამართლომ ამ ტრასტების 86 პროცენტის მესაკუთრედ ერთმნიშვნელოვნად ცნო ინა გუდავაძე და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი. დარჩენილი არის ფინანსური კვლევისთვის, დამატებითი კვლევისთვის 14 პროცენტი, რომელიც იგივე სასამართლოს გადაწყვეტილებით ჯერ კიდევ კვლევის საგანს წარმოადგენს, მაგრამ 86 პროცენტი, ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ უკვე ოჯახის საკუთრებად არის ცნობილი. გიბრალტარის მოსამართლემ თავის გადაწყვეტილებაში, ჯოზეფ კეის მოთხოვნის საპასუხოდ, რომ ის თითქოს 100 პროცენტის მფლობელი იყო, განმარტა, მოსამართლის ციტატა: „ჯოზეფ კეი იტყუება, როდესაც ამტკიცებს, როდესაც ამბობს, რომ ტრასტები ერთპიროვნულად მას ეკუთვნის. გარდა ამისა, გიბრალტარის მოსამართლემ საკმაოდ ვრცლად და სრულყოფილად გამოიკვლია ყველა გარემოება, მათ შორის გამოიკვლია ურთიერთობები ბადრი პატარკაციშვილსა და ჯოზეფ კეის შორის“.

სასამართლოს აზრით, იმის საპირისპიროდ, როგორც ეს უნდა წარმოაჩინოს კეიმ ურთიერთობა ბადრი პატარკაციშვილსა და ჯოზეფ კეის შორის იყო, როგორც დამქირავებლისა და დაქირავებულს შორის ურთიერთობა. ამ დასადასტურებლადაც შემიძლია მოსამართლის ფრაზა მოგახსენოთ:— მართებული იქნებოდა შედარებით მოძველებული ტერმინი პატრონი და ყმა გვეხმარა ამ ურთიერთობების ასასახად. — განაცხადა ადვოკატმა ლაშა ბირკაიამ.

ბირკაიას განცხადებით, გიბრალტარის მოსამართლემ კიდევ ერთ ფაქტზე ისაუბრა თავის გადაწყვეტილებაში.

— მოსამართლე თავის გადაწყვეტილებაში ასევე აფიქსირებს, რომ ჯოზეფ კეი სარგებლობდა ბადრი პატარკაციშვილის კეთილგანწყობით, ახორციელებდა ბადრის თანხების ინვესტირირებას, რომელსაც შემდეგ აცხადებდა როგორც საკუთარ ინვესტიციებს და საკუთარ თანხებს. ამდენად, ჯოზეფ კეის მოთხოვნაზე, რომ ბადრი პატარკაციშვილის აქტივების 100 პროცენტის ყოფილიყო მესაკუთრე, სამართლოს მიერ დადგინდა, რომ 86 პროცენტი ეკუთვნის ქალბატონ ინას და მხოლოდ 14 პროცენტი დაფიქსირდა თეორიულ პრეტენზიად. მოსამართლის აზრით ჯოზეფ კეის დამოუკიდებელი ინვესტიციის გაჩენის საფუძვლად უნდა ჩაითვალოს ის მომენტი, როდესაც მან ბადრისგან, სავარაუდოდ, მალულად და არამართლზომიერად, მიითვისა „სიბნეფტის“ გარიგებასთან დაკავშირებული საკომისიო. პატარკაციშვილის ოჯახის თხოვნით, მოსამართლემ ქეის კუთვნილ ყველა აქტივზე მსოფლიო შეზღუდვის ორდერი გასცა და მისი ყოველკვირეული საარსებო ხარჯები 1000 ფუნტ სტერლინგამდე შეზღუდა.გიბრალტარის სასამართლოს ბრძანებითვე, ქეის ეკრძალება ნებისმიერი ქმედების განხორციელება ამ აქტივებთან დაკავშირებით.

ბრიფინგზე ადვოკატმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე გაამახვილა ყურადღება. ლაშა ბირკაიას განცხადებით ეს ფაქტი ყურადსაღები უნდა იყოს ქართული სასამართლოსთვის.

— საზოგადოებისთვის საინტერესოა და ქართული სასამართლოსთვის საყურადღებოა, ის ფაქტი, რაც მოხდა. ქართულ სასამართლოში კეი დღემდე ითხოვს, რომ ბადრი პატარკაციშვილის ანდერძის აღმსრულებლად იქნეს აღიარებული. ამაზე ლონდონის სასამართლომ მას უარი უთხრა, როგორც არასათანადო პირს. ეს არის დაახლოებით ორი კვირის ამბავი. — განაცხადა ლაშა ბირკაიამ.

ნონა ყანდიაშვილის განცხადებით, ჯოზეფ კეიმ თხოვნით მიმართა გიბრალტარის სამართლოს, რომ გადაწყვეტილება კონფიდენციალურად დაეტოვებინა.

— მას შემდეგ, რაც გიბრალტარის სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა, ჯოზეფ კეიმ თხოვნით მიმართა მოსამართლეს, რომ კონფიდენციალურად დაეტოვებინა საქმის მასალები. განსაკუთრებით კი გიბრალტარის სასამართლომ მიერ მიღებული გადაწყვეტილება. უკვე ნათელია, რატომ აშინებდა კეის აღნიშნული დოკუმენტების გამოქვეყნება. მოსამართლემ კეის უარი უთხრა მის მოთხოვნაზე და დააკმაყოფილა ოჯახის მოთხოვნა, რომ მასალა საჯაროო გამხდარიყო. იმედია, რომ ამ ყველაფრის შემდეგ დაინტერესდება ქართული სასამართლო და დაფიქრდება ვის ანდო სხვისი ქონების განკარგვის უფლება. — განაცხადა ყანდიაშვილმა.

ნონა ყანდიაშვილის განცხადებით, ქართულ მედიაში დაფინანსებული მასალებით ფართოდ შუქდება ფარული, რომლის ინიციატორიც არის ჯოზეფ კეი.

— ქართულ პრესაში ინა გუდავაძის მიმართ უამრავი ამაზრზენი ტყუილი იწერება. გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რა ზღვარგადასული, ავადმყოფური ფანტაზია უნდა ჰქონდეთ ადამიანებს, რომ ინა გუდავაძეს დაბრალო ადამიანის გატაცება, ებრალიძესთან კავშირი და პრეზიდენტობის აბმიცია დაბრალო. — განაცხადა ინა გუდავაძის წარმომადგენელმა ნონა ყანდიაშვილმა.

ტამიფლუ: საინფორმაციო ფურცელი

პანდემია და ანტივირუსული საშუალებები

გრიპის პანდემია

• გრიპი წარმოადგენს გრიპის A და B ვირუსებით გამოწვეულ სერიოზულ დაავადებას, რომელიც, როგორც წესი, სეზონურად ვითარდება შემოდგომისა და ზამთრის თვეებში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯმო) მონაცემებით ყოველწლიურად სეზონური გრიპის 3-5 მილიონი მძიმე შემთხვევა ვითარდება; ამ დაავადებისგან იღუპება დაახლოებით 250 000 – 500 000 ადამიანი.

• ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით გრიპის პანდემია ვითარდება, როდესაც ჩნდება გრიპის A ვირუსის ახალი შტამი, რომლის მიმართ მოსახლეობას არ გააჩნია იმუნიტეტი. შედეგად მსოფლიოს რამდენიმე რეგიონში ერთდროულად იფეთქებს ეპიდემია, რასაც მოჰყვება დაავადებულთა და გარდაცვლილთა დიდი რიცხვი. გრიპის პანდემია თითო საუკუნეში დაახლოებით სამჯერ განვითარდა, როდესაც გრიპის ვირუსის ახალი შტამი მილიონობით ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა მთელს მსოფლიოში.

დამატებითი ინფორმაციისათვის პანდემიური 2009 წლის A გრიპის (H1N1) და მისი პანდემიური პოტენციალის შესახებ იხილეთ ჯმო-ს შემდეგი ვებ გვერდი:

http://www.who.int/csr/disease/swineflu/en/index.html

გრიპის პანდემია და ანიტივირუსული საშუალებები.

• ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯმო), აშშ დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრი (CDC) და ევროპის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრი (ECDC) ადასტურებენ, რომ ანტივირუსული საშუალებები ტამიფლუ და რელენცა აქტიურები არიან A გრიპის ახალი შტამის (H1N1) მიმართ.

• ჯმო-მ გამოაქვეყნა სახელმძღვანელო, რომელიც რეკომენდაციას უწევს ტამიფლუს გამოყენებას პანდემიური (H1N1) 2009 წლის ინფექციის სამკურნალოდ:

○ ძლიერი რეკომენდაცია ტამიფლუს გამოსაყენებლად დაავადების მძიმე შემთხვევების სამკურნალოდ პაციენტთა ყველა ჯგუფში (სხვა მხრივ ჯანმრთელებსა და რისკის ჯგუფებში)

○ ტამიფლუ და ზანამავირი რეკომენდებულია მსუბუქი შემთხვევების სამკურნალოდ რისკის ჯგუფებში (65 წელზე მეტი ასაკის პირები, 2 წლამდე ბავშვები, ორსულები, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები და სხვა).

○ ტამიფლუს გამოყენება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, ვინაიდან სარგებელი მაქსიმალურია მკურნალობის დაწყებიდან პირველ 48 საათში. მტკიცებულებები მიუთითებენ, რომ მაშინაც კი თუ ტამიფლუთი მკურნალობა დაწყებულია მოგვიანებით, იგი შესაძლოა სარგებლის მომტანი იყოს

○ პაციენტებში მძიმე დაავადებით, რომლებიც არ ექვემდებარებიან სტანდარტული დოზით მკურნალობას, შეიძლება განვიხილოთ მაღალი დოზებით და გახანგრძლივებული მკურნალობა

• აშშ დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრმა (CDC) გამოაქვეყნა მეთოდური სახელმძღვანელო, რომლის მიხედვით რეკომენდებულია ტამიფლუს ან რელენცას გამოყენება A გრიპის ახალი შტამით (H1N1) გამოწვეული დაავადების პრევენციის და მკურნალობისთვის.

• ევროპის წამლის სააგენტო და აშშ დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრი (CDC) იძლევა რეკომენდაციას, რომ პანდემიის დროს ტამიფლუს გამოყენებამ 1 წლამდე ასაკის ბავშვებსა და ორსულებში შეიძლება სარგებელი მოიტანოს.

• ტამიფლუ საკვანძო როლს ასრულებს პანდემიური (H1N1) 2009 წლის გრიპის ვირუსის კონტროლისთვის. 2009 წლის ნოემბერში აშშ მთავრობის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით ერთადერთი ჩარევა, რაც დადებით გავლენას ახდენდა ჰოსპიტალიზებული პაციენტის გამოსავალზე იყო ანტივირუსული საშუალების მიღება სიმპტომების დაწყებიდან პირველ 48სთ-ში. ამ პაციენტთა დაახლოებით 90%-ს სწორედ ტამიფლუთი უტარადებოდა მკურნალობა (***Jain et al. Hospitalized Patients with 2009 H1N1 Influenza in the Untied States, April-June 2009. N Engl J Med. 2009;361:1991–3)***

• როშის ხელშეწყობით მიმდინარეობს დამატებითი კლინიკური კვლევები, რომლებიც მოგვაწვდიან დამატებით ინფორმაციას ტამიფლუს ოპტიმალური გამოყენების შესახებ აღნიშნული ვირუსის საწინააღმდეგოდ. როში ასევე ჯმო-სა და სხვა ჯგუფებთან აქტიურად განიხილავს შემდგომი კლინიკური კვლევების ჩატარების შესაძლებლობას.

A გრიპის ახალი შტამის (H1N1) და ანტივირუსული პრეპარატების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ CDC, EMEA ან FDA–ის ვებ გვერდები:
www.cdc.gov/h1n1flu/recommendations.htm
www.emea.europa.eu;
http://www.fda.gov/downloads/Drugs/DrugSafety/InformationbyDrugClass/UCM143872.pdf

მოკლედ ტამიფლუს შესახებ

• ტამიფლუ (ოსელტამივირი) პერორული ანტივირუსული მედიკამენტია (და არა ვაქცინა), რომელიც გამოიყენება გრიპის სამკურნალოდ და მიეკუთვნება ნეირამინიდაზას ინჰიბიტორების კლასს. აღნიშნული კლასის პრეპარატები ხელს უშლიან გრიპის ვირუსის გავრცელებას ორგანიზმში. ისინი აქტიურნი არიან გრიპის ვირუსის ყველა კლინიკურად მნიშვნელოვანი შტამის მიმართ.

• ევროპის მარეგულირებელი სააგანტოს ხელთ არსებული სრული ინფორმაცია ტამიფლუს შესახებ (ევროპის სამედიცინო სააგენტო EMEA) შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ საიტზე:

http://www.emea.europa.eu/humandocs/PDFs/EPAR/tamiflu/emea-combined-h402en.pdf

• ტამიფლუს ეფექტურობა დადასტურებულია გრიპის მკურნალობისა და კონტაქტის შემდგომი პროფილაქტიკისთვის მოზრდილებსა და ბავშვებში (1 წელი და ზემოთ)

• ტამიფლუ გამოიყენება პერორულად, მოსახერხებელი კაფსულის სახით (75 მგ), რის შემდეგ პრეპარატი აღწევს ყველა იმ საკვანძო უბანს ორგანიზმში, სადაც ხდება ვირუსის გამრავლება. ტამიფლუს სამკურნალო დოზა მოზრდილებში შეადგენს 75 მგ დღეში ორჯერ 5 დღის განმავლობაში. ვირუსთან კონტაქტის შემთხვევაში პროფილაქტიკური დოზა შეადგენს 1 კაფსულას ერთხელ დღეში, რომლის მიღებაც შეიძლება 6 კვირამდე დროის განმავლობაში. ტამიფლუს ერთი შეფუთვა შეიცავს მკურნალობის სრული კურსისათვის საჭირო 10 კაფსულას. მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად აუცილებელია მკურნალობის დაწყება სიმპტომების გამოვლენიდან 48 საათის ფარგლებში.

• ტამიფლუს გამოყენებას დოზირების დამტკიცებული რეჟიმის (75 მგ დღეში ორჯერ 5 დღის განმავლობაში) მიხედვით თან ახლავს სიმპტომების სიმძიმის შემცირება 38%-ით, მეორადი გართულებების (ბრონქიტი, პნევმონია და სინუსიტი) შემცირება სხვამრხივ ჯანმრთელ პირებში 67%-ით, გრიპით ავადმყოფობის ხანგრძლივობის შემცირება 37%-ით. აღნიშნული მონაცემები მოპოვებულ იქნა გრიპის სეზონური აფეთქებებისას.

• ტამიფლუს მიღებისას ყველაზე ხშირი გვერდითი მოვლენებია გულისრევა და პირღებინება. აღნიშნულ შემთხვევათა დიდი ნაწილი გამოვლინდა ერთჯერადად ან მკურნალობის პირველ-მეორე დღეს და თავისთავად ალაგდა 1-2 დღეში.

• ტამიფლუ ჩრდილოეთ ამერიკისა (აშშ და კანადა) და შვეიცარიის ბაზარზე გამოჩნდა 1999/2000 წწ. ყველა საკვანძო ევროპულ ბაზარზე პრეპარატის გაყიდვა დაიწყო 2002/2003 წწ.

• ტამიფლუთი ნამკურნალებია 68 მილიონზე მეტი პაციენტი მსოფლიოში, მათ შორის აშშ, იაპონია, კანადა, ავსტრალია, ევროკავშირი, შვეიცარია და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები.

ტამიფლუს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხ. პაციენტის ბროშურა. მაგალითად, ევროპაში დამტკიცებული პაციენტის ბროშურა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ გვერდზე:
www.roche.com/tamiflu_PIL_EU.pdf

როშის საპასუხო რეაქცია ტამიფლუზე გაზრდილ მოთხოვნაზე.

• როშმა უკვე შეასრულა ქვეყნების მთავრობების დაკვეთები პანდემიისთვის და უზრუნველყო ტამიფლუს 270 მილიონი სამკურნალო კურსის მიწოდება 96 ქვეყნის მთავრობისთვის.

• თავდაპირველად პანდემიისთვის დასაწყობებული ტამიფლუს ვარგისიანობის ვადა იყო 5 წელი, მაგრამ რიგ ქვეყნებში როგორიცაა აშშ, ევროპის ქვეყნები, ავსტრალია, კანადა და ჰონგ-კონგი, ტამიფლუს პანდემიური მარაგის ვადა 7 წლამდე გაიზარდა.

• 2005-2006 წლებში როშმა დონაციის სახით ჯმო-ს გადასცა ტამიფლუს 5 მილიონი კოლოფი, აქედან 3 მილიონი სამკურნალო კურსი წარმოადგენდა სწრაფი რეაგირების მარაგს, რომელიც განკუთვნილი იყო პანდემიის აფეთქების ადგილზე ჩასახშობად ან შესანელებლად. ხოლო 2 მილიონი კი განკუთვნილი იყო რეგიონული დასაწყობებისთვის იმ განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ პრეპარატის შეძენა ეკონომიკური მიზეზების გამო. აღნიშნული კოლოფები ამჟამად ნაწილდება ჯმო-ს შეხედულების მიხედვით განვითარებად ქვეყნებში.

• 2009 წლის მაისში როშმა გამოყო შემდგომი 5.65 მილიონი კოლოფი დონაციისათვის, კერძოდ:

○ 2 მილიონი კოლოფით შეავსო რეგიონული მარაგები

○ 3 მილიონი კოლოფით შეავსო სწრაფი რეაგირების მარაგი

○ შექმნა ახალი პედიატრიული მარაგი - ტამიფლუს 650 ათასი სამკურნალო კურსი (30მგ და 45მგ კაფსულები)

• როში ასევე გამოვიდა ინიციატივით შეიქმნას ტამიფლუს სარეზერვო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის (GAVI ალიანსის ქვეყნები გარდა ინდოეთისა) პრეპარატის მიწოდება მოხდება მნიშვნელოვნად დაბალ ფასში.

"ჰოფმან-ლა როშის" წარმომადგენლობა საქართველოში

E-mail: rochegeorgia@wanex.net
www.roche.com

კავკასიონზე 24 უღელტეხილს ორივე მხრიდან რუსეთი აკონტროლებს

ლარსის გახსნა საქართველოსთვის სახიფათოა

თეა მარხვაი ე

ხელისუფლება მზადაა ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნის გამო სერიოზული მაღარიჩი იკისროს. საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი სასაზღვრო პუნქტი მალე გაიხსნება. ექსპერტების და ოპოზიციის პროტესტი ხელისუფლებისთვის საინტერესო არ არის. მათი მტკიცებით, ლარსის გახსნა არანაირ რისკთან არ არის დაკავშირებული და მისი ამოქმედება ეკონომიკურ სარგებელს მოგვიტანს.

უკვე ცნობილია, რომ ეს პუნქტი მხოლოდ სომხებისთვის გაიხსნება, ქართველები ლარსით ვერ ისარგებლებენ. ამ შემთხვევაში მართლა ძალიან საინტერესოა, რატომ თანხმდება ხელისუფლება ამ სარისკო ნაბიჯის გადადგმას.

ეს ფაქტი ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებსაც ვერ აუხსნიათ. რამდენიმე მთგანი ამ ფაქტს კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ერთ-ერთმა მთგანმა „ახალ თაობასთან“ საუბარში ხელისუფლების ინიციატივა გააკრიტიკა. ეს ადამიანი საკმაოდ კარგად არის ჩაბეჭდული სასაზღვრო პოლიტიკასა და საგარეო საფრთხეებში.

ამ ადამიანმა თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა, თუ რატომ, ამას მის მიერ გამოთქმული მოსაზრებებიდან მიხვდებით. ლარსის გახსნასთან დაკავშირებით მას ასეთი პოზიცია აქვს:

— საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ჩიხშია შესული. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის პანაკეა არ არსებობს. ამიტომ ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს შორს გათვლილი სტრატეგია, რომლის განხორციელებაც საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს საფრთხეს არ შეუქმნის. დღეს ბევრს საუბრობენ ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნაზე. გვიმტკიცებენ, რომ ამით ეკონომიკურ ეფექტს მივიღებთ. ეს მოსაზრება თავშივე მცდარია.

— რატომ არის მცდარი?

— რომელ ეკონომიკურ ეფექტზე შეიძლება იყოს საუბარი ზამთრის პერიოდში სტეფანწმინდის მონაკვეთის გახსნაზე. სექტემბრის ბოლოს თოვლი მოვიდა და რამდენიმე დღის განმავლობაში ყაზბეგის მიმართულება დაიკეტა. შეიძლება ამ შემთხვევაში პრიორიტეტი მეზობელი სახელმწიფოს ინტერესებია. ცუდი იმაში არაფერი არაა, ჩვენ თუ სომხეთის დახმარება გვინდა. ამის გაკეთება ლარსის გახსნის გარეშეც შეიძლება.

— ლარსის გახსნის გარეშე როგორ?

— შემოვიდეს ეს ტვირთები როკის გვირაბის გავლით. ბიაროს საქართველოს ცენტრალური მონაკვეთი და წავიდეს ტრანზიტით სომხეთში. დღეს რუსებს საქართველოს გზებზე თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა შეზღუდული აქვთ. ამ შემთხვევაში მე მხედველობაში რუსეთიდან საქართველოში გადმოსასვლელი უღელტეხილები მაქვს. კავკასიონის ქედზე არსებული 43 უღელტეხილიდან 24 რუსები აკონტროლებენ. საინტერესო ის არის, რომ ამ 24 უღელტეხილს იქედანაც და აქედანაც რუსები აკონტროლებენ.

— რომელი უღელტეხილებია ასეთი?

— იგივე მარუხი, მამისონი... დიდი სურვილის მიუხედავად, რუსეთმა ვერ შეძლო დარიალის ხეობის გაკონტროლება. დღემდე არსებობს იმის საფრთხე, რომ რუსეთი თავის მბრძანებლობას მიაღწევს. მედვედევმა მიიღო გადაწყვეტილება და სათათბიროში დაამტკიცა, რომლის თანახმადაც რუსეთის პრეზიდენტს დამოუკიდებლად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყანაში სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ. ამის გაკეთება მას იმ შემთხვევაში შეეძლება, თუ ეს ქვეყანა რუსეთის ინტერესებს ან რუსეთის მოქალაქეებს საფრთხეს უქმნის. სტეფანწმინდა ერთადერთი მონაკვეთია ამ რეგიონში, სადაც რუსები არ ცხოვრობენ. როდესაც ლარსი გაიხსნება, რუსეთიდან სომხეთის მიმართულებით კოლონები დაიძვრება. ამ კოლონის შემადგენლობას შეიძლება 40 მანქანას მიაღწიოს. ცუდი ამინდის გამო, დიდი შანსია, მანქანები ჯვრის უღელტეხილზე გაიჭედონ. იძლევა იმის გარანტიას ვინმე, რომ პროვოკაცია არ მოხდება? რუსეთის პრეზიდენტი მიიღებს გადაწყვეტილებას ძალის გამოყენების შესახებ. რუსეთს ხელს არაფერი შეუშლის, რომ ეს მონაკვეთი დაიკავოს. თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ საფრთხე მლეთიდანაც გვემუქრება. მთა, რომელზეც ეს სოფელია შეფენილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დგას. რუსები და ოსები მლეთას ზემოდან გადმოჰყურებენ. ჩვენმა ხელისუფლებამ ეს ფაქტორიც უნდა გაითვალისწინოს. ცოტა ხნის წინ რუსებმა სცადეს ყაზბეგში თავისი მოქალაქეების შეყვანა.

— ეს როდის მოხდა?

— ყველამ ვიცით, რომ შეიქმნა ორგანიზაცია „დარიალი“. ეს ორგანიზაცია ვლადიკავკაზში დაფუძნდა. ამ ორგანიზაციის წევრები ამტკიცებდნენ, რომ თითქოს ოდესღაც ყაზბეგში, კერძოდ კი, ფრუსოს ხეობაში ცხოვრობდნენ. რუსებს „დარიალის“ წევრების შემოყვანა არ გამოუვიდათ. უნდოდათ, რომ მათი წყალობით მოეწყოთ პროვოკაცია, შემდეგ კი თავიანთი მოქალაქეების დაცვის საბაბით აქ სამხედრო ოპერაცია დაეწყო. ადრე ეს არ გამოვიდა, მაგრამ რუსები არ გაჩერდებიან. არ გაჩერდებიან მანამ, სანამ არ მივლენ აზერბაიჯანის საზღვრამდე. რუსეთს კავკასიის ქედის გაკონტროლება უნდა. რუსეთი პირაქეთ კავკასიონზე იკეთებს ბუფერულ ზონას, ფაქტიურად თავდაცვით ზღუდეს ქმნის. ჩვენ ძალიან დიდი რისკების ქვეშ ვდგავართ. სერიოზული პრობლემები შეიძლება შეგვექმნას კახეთში. ჩვენ საერთოდ დაუცველები ვართ პირიქითა ხევსურეთის მიმართულებით. დათვიჯვრის უღელტეხილი სტრატეგიული მნიშვნელობისაა. სასწრაფოდ უნდა გადაიხედოს შექმნილი სიტუაცია და მანამდე უნდა ვიმოქმედოთ, სანამ რუსეთი რამეს ჩაიდენს. ქვეყნის უსაფრთხოებას არავითარი ალტერნატივა არა აქვს, ჯერ უსაფრთხოება და შემდეგ ეკონომიკური ეფექტი. თანაც, როგორც უკვე გითხარით, ლარსის გახსნა ვერანაირ ეკონომიკურ ეფექტს ვერ მოუტანს საქართველოს, ზიანი კი შეიძლება დიდი მოგვადგეს. ამიტომ ვამბობ, რომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს ამ მიმართულებით გადაწყვეტილების მიღება. კიდევ ვიმეორებ, თუ სომხეთის დახმარება ასე ძალიან გვინდა, მაშინ სატრანზიტო ტვირთები საქართველოში როკის გვირაბის გავლით შემოვიდეს.

— ეს შესაძლებელია?

— შეიძლება არაპოპულარული გადაწყვეტილება იყოს, მაგრამ უმჯობესია ასეთი გადაწყვეტილება მივიღოთ, ვიდრე საქართველოს კიდევ ერთხელ შევუქმნათ საფრთხე.

ახალაია სამხედროებისთვის ავტორიტეტი ვერ იქნება

დასაწყისი მე-4 გვერდზე

შიდა პროცესები არის ძალიან საინტერესო. ჯარი უცხო სხეულს ვერ იტანს. შეიძლება ეს ინფორმაცია ბრიფინგების თუ აქციების სახით გარეთ არ გამოდის, მაგრამ, სამხედროები ძალიან ყურადღებით აკვირდებიან, თუ ვინ დგას ჯარის სათავეში. კარგად სნაკლობენ მის წარსულს, მის ბიოგრაფიას. აქედან გამომდინარე, შემდგომ ეს ადამიანი აქედან გამომდინარე, ან არის სახმედროებისთვის ავტორიტეტი, ან არა.

— ბაჩო ახალაია არ არის ავტორიტეტი ჯარისკაცებისთვის?

— მე არა მგონია, რომ ახალაია მათთვის ავტორიტეტი იყოს. იმიტომ, რომ ახალა

არჩევნებს მოსახლეობის ნაწილი ბოიკოტს გამოუცხადებს

როგორ უნდა შეარჩიოს ოპოზიციამ ერთიანი კანდიდატი

გერა მამულაშვილი

პოლიტიკური ოპოზიცია ადგილობრივი არჩევნებისთვის გაერთიანებულ კანდიდატებზე შეთანხმებას ვერ ახერხებს. ყველა აქტუალურია მიდამოპოზიციური პრაიმერის ჩატარებაც. ექსპერტები აცხადებენ, რომ გაერთიანების გარეშე, ოპოზიციას გაზაფხულის არჩევნებზე ხელისუფლების დამარცხება გაუჭირდება.

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რუსპუბლიკური პარტიის“ წევრი, პოლიტოლოგი **პატარა ხმალაძე** აცხადებს, რომ თუ ხელისუფლება საარჩევნოდ 50-პროცენტიან ზღურბლს დააწესებს, მაშინ პრაიმერს იდეაც აკარგავს. მისივე თქმით, ქვეყანაში ზოგადად ისეთი საარჩევნო სისტემა უნდა მოქმედებდეს, რომ ყოველგვარი ხელოვნური წესების შექმნის საჭიროება აღარ იყოს.

— რამდენად შესაძლებელია ოპოზიციის ერთიანი კანდიდატურების გარეშემ გაერთიანება და ადგილობრივ არჩევნებზე მათი წარდგენა?

— ჯერჯერობით ამაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. უფრო არჩევნების მოახლოებასთან ერთად არის მოსალოდნელი, რომ გამოიკვეთოს ეს სურათი. მანამდე რაიმე კონკრეტულის თქმა ძნელია.

— მაშინ რამდენად აუცილებლობას წარმოადგენს შიდა ოპოზიციური პრაიმერის ჩატარება, რაზეც ოპოზიციის ერთი ნაწილი ამახვილებს ყურადღებას. თუ შესაძლებელია შეთანხმების ამის გარეშეც მიღწევა?

— იმ შემთხვევაში, თუ არჩევის წესი იქნებოდა ისეთი, როგორიც მიღებულია ცივილიზებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ანუ მხედველობაში მაქვს პირველ ტურში გამარჯვებულად იმის გამოცხადება, ვინც მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტს მიიღებს, მაშინ საერთოდ არანაირი პრაიმერის საკითხი არ დადგებოდა. ვინაიდან თავად ამომრჩეველი ჩაატარებდა ყველა კანდიდატს შორის პრაიმერს პირველ ტურში. თუ რომელიღაც კანდიდატი ხმების ნახევარზე მეტს ვერ მიიღებდა, ავტომატურად მეორე ტური გაიმართებოდა, სადაც ორი საუკეთესო კანდიდატი დარჩებოდა და ამომრჩეველი მათგან გააკეთებდა საბოლოო არჩევანს. ასე რომ, ჯერ კიდევ ეს კანონი მიღებული არ არის და ძალიან ეჭვი მეპარება, რომ ხელისუფლებამ ეს 50-პროცენტიანი ზღურბლი დააწესოს. თორემ, თუ ეს მოხდება, მაშინ პრაიმერზე ლაპარაკი უბრალოდ შეწყდება. მაგრამ თუ დარჩა ის, რაზეც ხელისუფლება გვეუბნება 30-პროცენტიან ზღურბლთან დაკავშირებით პირველ ტურში, მოდით, ჯერ განვმარტოთ ეს მომენტი კიდევ ერთხელ მათთვის, ვისაც ეს არ წაუკითხავს და არ უნახავს. ამ მიდგომის თანახმად, პირველ ტურში გამარჯვებულად გამოცხადდება ის პირი, რომელიც სხვა კანდიდატზე მეტ ხმას მიიღებს; თუ მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 30 პროცენტზე მეტია. თუ ეს წესი დარჩა, მაშინ ჩნდება პრობლემა ბევრი კანდიდატის არსებობისა; რომ გამარჯვებული გახდება ის, ვინც 30 პროცენტზე ცოტა მეტ ხმას მიიღებს და სადაც დანარჩენი კანდიდატები 30 პროცენტზე ნაკლებს მიიღებენ. ანუ არჩეულად ჩვენ იმ პირს გამოგვიცხადებენ, რომელსაც ორჯერ მეტი მოწინააღმდეგე ჰყავს, ვიდრე მომხრე. რაც თავისთავად ცუდია და მიმაჩნია, რომ ეს პრინციპულად არასწორი და ასევე არასამართლიანი მიდგომაა.

— რა უნდა გაკეთდეს ამ სცენარის საწინააღმდეგოდ?

— ასეთ პირობებში იმ პირველ ადგილზე გასულის და ყველაზე მეტი პრეტენზიის მქონის დასამარცხებლად საჭიროა მისი ოპონენტი კანდიდატების რაოდენობის შემცირება. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ხელისუფლების შესაძლებლობებს, ე.წ. ადმინისტრაციულ რესურსს, ჩვენთან, სამწუხაროდ, უკვე დამკვიდრებულ გაყალბების პრაქტიკას, პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმების მიღების შანსი აქვს ხელისუფლების კანდიდატს. შესაბამისად ოპოზიციური კანდიდატების რაოდენობა თუ არ შემცირდა და თუ არ შემცირდა მკვეთრად, მაშინ მოსალოდნელია, რომ ხელისუფლების კანდიდატმა პირველივე ტურში გაიმარჯვოს. ცხადია, ასე არ მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციურ კანდიდატთა შორის აღმოჩნდა რომელიმე ისეთი, რომელსაც ამომრჩეველთა უფრო მეტი რაოდენობა უჭერს მხარს; არა ზოგადად ოპოზიციას, არამედ ამ კონკრეტულ კანდიდატს უფრო მეტი დაუჭერს მხარს, ვიდრე ეს მხარდაჭერა ხელისუფლების კანდიდატს ექნება.

— თუ ასეთი ლიდერი არ არის?

— თუ ასეთი მკვეთრი ლიდერი არ გამოჩნდა, მაშინ ერთადერთი საშუალება კანდიდატების შემცირება რჩება. ამ საკითხს რაც შეეხება, როდესაც არსებობს რამდენიმე პარტია, ვისაც პრეტენზია აქვს ლიდერობაზე, თავის ძალაზე, რეალურ, თუ არარეალურ წარმოდგენებს მის შესაძლებლობებზე, ამ პარტიებს შორის შეთანხმების გარეშე კანდიდატების რაოდენობის შემცირება უბრალოდ შეუძლებელი იქნება.

— მაგრამ რის საფუძველზე უნდა გაკეთდეს ეს შეთანხმება?

— თქვენ იტყვით, რომ ჩემი კანდიდატი უფრო ძლიერია, მე ვიტყვი იგივეს და მესამეც იტყვის, ჩემია ძლიერიაო. ამიტომ თუ რაიმე ობიექტური კრიტერიუმი არ იქნა დადებული, ასე შეთანხმების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. მაგრამ რა არის ეს ობიექტური კრიტერიუმები? ჩვენი ოპოზიციური პარტიების ერთი ნაწილი საზოგადოებას ოპოზიციონერ კანდიდატთა შორის პრაიმერის ჩატარებას სთავაზობს. რასაკვირველია, ამდაგვარი რამ თეორიულად შესაძლებელია. მაგრამ ამ იმედის ენთუზიასტი ნამდვილად არ ვარ ელემენტარული და პრაქტიკული მოსაზრებების გამო. პრაიმერი იმართება იმის მსგავსად, როგორც იმართება არჩევნები. უნდა იყოს საარჩევნო უბნები, სადაც ამომრჩეველი მივა და გააკეთებს არჩევანს მისთვის შეთავაზებულ ოპოზიციურ კანდიდატთა შორის.

მაგრამ ასეთი წესის დროს პრაიმერის ორგანიზატორები ხომ ვერანაირად ვერ გააკონტროლებენ იმას, მისული ამომრჩეველი ოპოზიციის მომხრეა, თუ ხელისუფლების მხარდამჭერია. სავსებით ცხადია, რომ ხელისუფლების მომხრე ამომრჩეველი არჩევნების დროს ხმას მისცემს ხელისუფლების კანდიდატს. მაგრამ ხელისუფლებას სავსებით რეალურად შეუძლია გაუკეთოს ორგანიზება თავის ამომრჩეველს და დაავალოს მას მისვლა, პრაიმერის პროცესში მონაწილეობის მიღება იმ დავალებით, რომ პრაიმერის დროს ხმა მისცენ ყველაზე უფრო სუსტ კანდიდატს. მოგეხსენებათ, რომ ტარდება სოციოლოგიური გამოკითხვები და ცნობილია, თუ საკმაოდ კარგი სიზუსტით როგორია ამა თუ იმ პოლიტიკოსის რეიტინგი თბილისში. თუკი ხელისუფლების მომხრე ამომრჩეველი მივლენ ამ პრაიმერის დროს და ყველაზე სუსტ კანდიდატს მხარს დაუჭერენ, შესაძლებელია სწორედ ეს ყველაზე სუსტი აღმოჩნდეს პრაიმერში გამარჯვებული. ახლა ეს რას მისცემს ხელისუფლებას. მისცემს იმას, რომ მის კანდიდატს რეალურად დაუპირისპირდება ოპოზიციის ერთი კანდიდატი, რომელიც ყველა ოპოზიციონერ კანდიდატთა შორის ყველაზე უფრო სუსტია. სავსებით ბუნებრივია, რომ ამომრჩეველის ერთი ნაწილისთვის ის სავსებით მიუღებელი იქნება, ისევე როგორც ხელისუფლების კანდიდატი იქნება მიუღებელი; ისე რომ, შესაძლებელია ამომრჩეველის ერთი ნაწილი საერთოდ არ მივიდეს არჩევნებზე. ანუ არ მივიდეს ზოგადად ოპოზიციის მხარდამჭერი ამომრჩეველი.

— შედეგი რა დადგება?

— ოპოზიციის მხარდამჭერი ამომრჩევლის არმისვლა ნიშნავს არჩევნების მონაწილეთა შორის ხელისუფლების მომხრეთა წილის გაზრდას. ეს ხომ სავსებით ცხადია. აი, ასეთი გზით ხელისუფლებამ შეიძლება გაიმარტივოს საქმე და მკვეთრად

გაგრძელება მე-8 გვერდზე

„მნიშვნელობა“
ბიოლოგიურად აქტიური
ფაუფაბეთი ორგანული
ფერადი ორგანული
ეროვნული ორგანული
ეროვნული ორგანული
ეროვნული

რენი ჰარლინის ფილმის პოსტერი უკვე გამოჩნდა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ჰოლივუდელი რეჟისორის რენი ჰარლინის ახალი რუსეთ-საქართველოს ომზე შექმნილი ფილმის პოსტერი უკვე გამოჩნდა. პოსტერზე ფილმის სახელწოდებად „ჯორჯიაა“ აღნიშნული. ეს სახელწოდება სურათს ჯერ კიდევ მუშაობის პროცესში ერქვა. როგორც ჩანს, ფილმს სახელწოდება აღარ შეცვლება.

ჰოლივუდელმა რეჟისორმა რენი ჰარლინმა საქართველოში გადაღებები ნოემბრის თვეში დაასრულა. მის ახალ ფილმში მონაწილეობა მსოფლიოში ცნობილმა მსახიობებმა ენდი გარსიამ და ვენ ქილმერმა მიიღეს. უცხოელ კინოვარსკვლავებთან ერთად ფილმში ქართველი მსახიობები და ხელოვანები გივი სიხარულიძე, გოგა პიპინაშვილი, „სუხიშვილები“ იღებდნენ მონაწილეობას. შემოქმედებით ჯგუფი ახლა სამონტაჟო სამუშაოებს აწარმოებს.

ჰოლივუდელი რეჟისორი ირწმუნება, რომ მის სარეჟისორო კარიერაში, ეს ყველაზე საინტერესო, მასშტაბური და ღირებული ფილმი იქნება. როგორც რეჟისორი განმარტავს, მისი ფილმი სრულიად აპოლიტიკური იქნება. იგი საკუთარი ნამუშევრით შეეცდება დაანახოს მსოფლიო საზოგადოებას, რომ ომი საშინელებაა და XXI საუკუნეში იარაღის ყლარუნით საქმეები არ უნდა გვარდებოდეს.

ცნობილია, რომ რუსეთ-საქართველოს ომზე შექმნილი ფილმის პრემიერა 2010 წლის მაისში კანის

საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგება.

საბალეტო დასი საახალწლოდ „მაკნატუნას“ იცეკვებს

ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი ტრადიციას არც წელს დაარღვევს და წინასაახალწლოდ ბალეტის მოყვარულებისთვის პეტრე ჩაიკოვსკის „მაკნატუნას“ იცეკვებს.

საშობაო-საახალწლო ზღაპარი „მაკნატუნა“ ორმოქმედებიანი ბალეტია. ლიბრეტოს ავტორი იური გრიგოროვიჩია. სპექტაკლი ჰოფმანის ზღაპრის მიხედვით და მარიუს პეტიპას სცენარის მოტივების გამოყენებით არის შექმნილი. სპექტაკლის პრემიერა 1999 წლის 28 ივნისს შედგა და სოლომონ ვირსალაძის დაბადებიდან 90 წლისთავს მიეძღვნა. სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორი ჯანსუღ კახიძეა, სამხატვრო ხელმძღვანელი — ნინო ანანიაშვილი, მხატვარი — სულიკო ვირსალაძე, იური გეგეშიძე, ქორეოგრაფი კი იური გრიგოროვიჩი. სპექტაკლში წამყვან პარტიებს ლალი კანდელაკი და ირაკლი ბახტაძე ცეკვავენ.

სანკტ-პეტერბურგში პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტს „მაკნატუნას“ პრემიერა 115 წლის წინ გაიმართა. იმ დღიდან ეს საბალეტო სპექტაკლი საშობაო ზეიმის შემადგენელი ნაწილია. მსოფლიოში არ არსებობს თეატრი, სადაც პეტრე ჩაიკოვსკის ამ გენიალურ ბალეტს არ წარმოადგენენ. ბალეტის სიუჟეტი მარტივია. მისი სცენარი თავად მარიუს პეტიპამ შექმნა, ალექსანდრე დიუმა მამის მიერ ჰოფმანის ზღაპარი „მაკნატუნა და თაგვების მეფე“ გადაკეთებული ვერსიის საფუძველზე. ბალეტის ზოგიერთი ისტორიკოსი ბალეტის შექმნის ინიციატივას ივან ვსევოლოჟსკის მიაწერს, თეატრალურ მოღვაწეს, კოსტიუმებისა და დეკორაციების ესკიზების ავტორს, პეტერბურგის საიმპერატორო თეატრების დირექტორს, რომელმაც „ძმინარე მზეთუნახავის“ წარმატებული პრემიერის შემდეგ ავტორთა გამოცდილ წყვილს პეტიპა-ჩაიკოვსკის ახალი დავალება მისცა. სხვა ვერსიით ჩაიკოვსკიმ უამბო პეტიპას საბავშვო წარმოდგენის შესახებ, რომელიც კომპოზიტორის ძმამ მოდესტ ჩაიკოვსკიმ მისი დის სახლში მოაწყო. ბავშვებმა წარმოადგინეს ჰოფმანის ზღაპარი „მაკნატუნა და თაგვების მეფე“, რომელიც იმ დროს პოპულარული იყო რუსეთში ალექსანდრე დიუმას ფრანგული რედაქციის წყალობით. ამის შემდეგ მარიუს პეტიპამ შეათანხმა ყველაფერი ცსევოლოჟსკისთან და შეუდგა ბალეტის დეტალური ლიბრეტოს მომზადებას, რომლის ესკიზები დღემდე შემონახულია. ბალეტის ქორეოგრაფია პეტიპამ ლევ ივანოვს მიანდო, თუმცა, ბალაჩინი ამბობს, რომ მთელი ქორეოგრაფიული ნახაზი თავად მარიუს პეტიპამ მოიფიქრა. პეტიპა-ივანოვის თანამშრომლობა რამდენიმე წლის შემდეგაც შედგა. ყველასათვის გასაოცრად, „მაკნატუნას“ პრემიერას წარმატება არ მოჰყოლია. ეს საბალეტო სპექტაკლი შემდეგშიც არაერთხელ დაიდგა. XX საუკუნის თითქმის ყველა დიდმა ბალეტმაისტერმა ამ ბალეტის საკუთარი ვერსია შექმნა. არსებობს ბალაჩინის, ვაიონენის, ნიიმაიერის, პეტის, ნურიევის, მეთიუ ბორის და სხვათა „მაკნატუნა“. ორიგინალური ვერსია შექმნა მორის ბეჟარმა, სადაც კლასიკურ „მაკნატუნას“ საკუთარი ბავშვობით შთაგონებული სცენები დაუმატა.

ჩვენი თეატრის სცენაზე „მაკნატუნა“ პირველად 1900 წელს დაიდგა. ახლანდელი სპექტაკლის პრემიერა კი 1999 წლის 28 ივნისს შედგა. „მაკნატუნას“ ამ ვერსიის ავტორი ცნობილი რუსი ბალეტმაისტერი იური გრიგოროვიჩია. ეს ვერსია გრიგოროვიჩმა დიდ თეატრში დადგა და მას დღესაც წარმოადგენენ. მხატვრობა სოლომონ ვირსალაძეს ეკუთვნის. „მაკნატუნას“ დადგმა თბილისში ცნობილი თეატრალური მხატვრის სოლომონ ვირსალაძის დაბადებიდან 90 წლისთავს მიეძღვნა. ყოველ ახალ წელს ათასობით ბავშვის გულს ახარებს მისი განუმეორებელი დეკორაცია და ფერადოვანი კოსტიუმები, ნაძვის ხის ირგვლივ ცეკვავენ მარის მეგობრები, ესპანური, ჩინური, ფრანგული, ინდური, რუსული მხიარული თოჯინები. თაგვების მეფისა და მანკატუნა-პრინცის შერკინების შემდეგ, ჯადოსნურ სამყაროში იმარჯება მეჯლისი, სადაც ულამაზეს ვალსს თოვლის ფიფქები ცეკვავენ.

ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი ჩაიკოვსკის „მაკნატუნას“ 25 და 27 დეკემბერს იცეკვებს.

მაკა მახარაძე საახალწლო სპექტაკლებს წარმოადგენს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ცოცხალ აკომპანიმენტს შეუქმნის ჩვენს პატარა ბალერინებს. სპექტაკლში მხოლოდ წელს მიღებული პატარები არ მონაწილეობენ. მთლიანობაში კი სცენაზე 60 ბავშვი იდგება.

— წელს რა სპექტაკლს შესთავაზებთ მაყურებელს?

— წელს ჩვენ ორი ფრანგული ნაწარმოები დებიუსი და პულენკი გავაერთიანეთ. ძალიან საინტერესო და სახალისო სპექტაკლი გამოდის. გვგონია, რომ ჩვენს მაყურებელსაც ძალიან მოეწონება.

მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია თავის საახალწლო სპექტაკლებს რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე 25-დან 30 დეკემბრის ჩათვლით ითამაშებს.

არჩევნებს მოსახლეობის ნაწილი ბოიკოტს გამოუცხადებს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

გაზარდოს თავისი კანდიდატის გამარჯვების შანსი. ამიტომ არის ჩემთვის არაპოპულარული ეს პრაიმერის იდეა. საბოლოოდ შეიძლება ეს იდეა კრახით დასრულდეს და ამიტომ არ მომშონს ეს პერსპექტივა.

— *რომელ გზას დაუჭერთ მხარს?*

— მე უფრო მხარს დავუჭერდი იმას, რომ ოპოზიციონერები შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ ერთ რომელიმე სოციოლოგიურ ჯგუფს, ან თუნდაც პარალელურად ორ-სამ ჯგუფს შეთანხმებით დაუკვეთონ სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარება და ამ სოციოლოგიური გამოკითხვის მეშვეობით გამოავლინონ ყველაზე უფრო პოპულარული კანდიდატი. ჩვეულებრივ პროფესიულ დონეზე ჩატარებული გამოკითხვების დროს ცდომილება გამოკითხვის არის ხოლმე სამიხუთი პროცენტის ფარგლებში. ანუ ასეთი გამოკითხვების მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა რეალური სურათის დადგენა. აქ უკვე ალბათობა ხელისუფლების მხარდამჭერი ამომრჩევლების წინასწარი მიზნით გაშვებისა პრაიმერში მონაწილეობის მისაღებად, უკვე ვეღარ იმუშავებდა. ეს პრობლემა გაქრებოდა და ასეთი გამოკითხვების ჩატარება ყოველთვიურადაც კი შეიძლებოდა. ამ სურათის საფუძველზე დაასახელოს ოპოზიციამ ერთი კანდიდატი. ისე აქვე იმასაც დავამატებ, რომ საერთოდ ეს წესი არჩევნებისა, რაც ხელისუფლებამ თავს მოახვია საზოგადოებას, ხელს უწყობს ასეთი ხელოვნური ხერხების მოგონების საჭიროებას, რაზეცაა ახლა ლაპარაკი. პრაიმერი იქნება ეს, სოციოლოგიური გამოკითხვა, თუ რაიმე სხვა.

— *აქ გამოსავალი რა არის?*

— ქვეყანაში საარჩევნო სისტემა უნდა იყოს ისეთი, რომ არანაირი ხელოვნური წესების ძებნის საჭიროება აღარ იყოს. ეს ერთი და მეორე — ეს სისტემა იყოს ისეთი, რომ ამომრჩეველს თავად ჰქონდეს საშუალება განსაზღვროს, ვინ აირჩიოს. ეს გადაწყვეტილება ამომრჩეველს ნაცვლად არ მიიღონ დავუშვათ პოლიტიკურმა პარტიებმა. იმიტომ, რომ ნებისმიერი შეთანხმება პოლიტიკურ პარტიებს შორის, მაინც ამომრჩეველთა უფრო ვიწრო ჯგუფებს შორის შეთანხმებაა, ვიდრე მთლიანად ყველა ამომრჩეველის აზრის გათვალისწინება.

— *ამ კითხვას ნაწილობრივ უპასუხეთ, მაგრამ მაინც. პრაიმერის და გამოკითხვების გარეშე თვითონ ოპოზიციის შიგნით ადგილების გადანაწილება რამდენად მისაღები იქნებოდა? ვგულისხმობ იგივე მერის და საკრებულოს კანდიდატურებზე წინასწარ შეთანხმებას.*

— საარჩევნო სისტემა მაშინ არის სამართლიანი, როდესაც აი, ასეთი შეთანხმებების საჭიროება მინიმუმამდე არის დაყვანილი. მაგრამ როდესაც კანონი ასეთ პირობებს ქვეყანაში არ ქმნის, როდესაც კანონი ქმნის ისეთ პირობას, რომელიც უბიძგებს ერთიმეორისგან სრულიად განსხვავებულ პარტიებს, მხედველობაში იდეოლოგიურად განსხვავებული პარტიები მყავს (მაგალითად, შემარხენებს და მემარჯვენეებს უბიძგებს გაერთიანებისკენ და ერთიანი კანდიდატურების დაყენებისკენ), მაშინ, რასაკვირველია, ამდაგვარი რაღაც შესაძლებელია მოხდეს.

მოდით, ასეთი სცენარი წარმოვიდგინოთ, ცალ-ცალკე ხედავ, რომ ვერ უგებ შენს მოწინააღმდეგეს, გაერთიანების სურვილი არ გაქვს, მაგრამ გაერთიანების შემთხვევაში მოგება შესაძლებელია. მაშინ გაერთიანებაში შემავალი სუბიექტებიდან მოგვწონს, თუ არ მოგვწონს ყველა სუბიექტი ცდილობს, რომ თავისთვის რაღაც მეტი მიიღოს. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი მოვლენაა ყველგან ის, რომ გარკვეული შეთანხმებები ხდება იმის თაობაზე, თუ ვინ რა პორტფელი უნდა მიიღოს. მარტივ მაგალითს ეტყვით. გერმანიის საპარლამენტო არჩევნებისას ვერც ერთმა საარჩევნო სუბიექტმა პარლამენტში უმრავლესობა ვერ მიიღო. ამის შემდეგ შეიქმნა პოლიტიკური კოალიცია, ქრისტიან-დემოკრატების, ქრისტიან-სოციალისტების და თავისუფალ დემოკრატთა კავშირის. თავისუფალ დემოკრატთა კავშირმა ბევრად ნაკლები მანდატები მიიღო, ვიდრე ჰქონდათ პირველ ორს. მიუხედავად ამისა, მან ამ კოალიციაში რამდენიმე მინისტრის პორტფელი მიიღო. თან ისეთი მნიშვნელოვანი სამინისტროებისა, როგორიც არის საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, იუსტიციის მინისტრის პორტფელები. ანუ ასეთი კოალიციების შექმნისას ამდაგვარი გადანაწილება არის სავსებით ბუნებრივი მოვლენა და პოლიტიკური პრაგმატიზმიდან გამომდინარეობს.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი საუკეთესოებს დაჯილდოვებს

ეკა ირემაშვილი

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი უკვე მეორედ დაჯილდოვებს იმ ღვაწლმოსილ ხელოვანებს, რომლებსაც ხალხურ შემოქმედებაში განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი.

ფოლკლორის ეროვნული პრემია გასულ წელს საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ დაარსდა, რომელმაც ყოველწლური დაჯილდოების სახე მიიღო. პრემია ფოლკლორის მხარდამჭერი ნაციონალური საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში დაწესდა. ფოლკლორის ეროვნულ პრემიას ანიჭებს საქართველოს ფოლკლორის ცენტრთან არსებული ფოლკლორის ეროვნული პრემიის მიმნიჭებელი კომისია. პრემია კი ხალხურ შემოქმედებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გაიცემა.

ლონისძიების ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ფოლკლორის ეროვნული პრემია წელს ცხრა ნომინაციაში გაიცემა. დაჯილდოვდებიან საუკეთესოები ხალხურ საზომსა და თემატიკაზე შექმნილი ლექსებისთვის; ხალხურ სანყისებზე შექმნილი ორიგინალური შემოქმედებისთვის; ქართული ხალხური სიმღერის ტრადიციულ შემსრულებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის (ინდივიდუალური); ქართული ხალხური ცეკვის ტრადიციული შესრულებისთვის; ქართული ხალხური სიმღერის ტრადიციულ შემსრულებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის (ჯგუფური); ხალხური სიტყვიერების შეკრებაში, შესწავლასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის; სამეცნიერო გამოცემებისთვის; ბოლო დროის საექსპედიციო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობისთვისა და ქართული ხალხური ცეკვის ტრადიციების დაცვისა და შენარჩუნებისთვის.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ დაჯილდოებულ ლაურეატებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო 2 ათასი ლარის ოდენობით, დიპლომი და ოქროს მედლები.

ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატთა დაჯილდოდება 24 დეკემბერს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართება.

SMS-განცხადებები - 3090

❖ იყიდება ბინა ნინოშვილის ქუჩაზე, 3-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე. 150 კვ.მ., 2 სველი წერტილით, 2 აივნით, ცენტრალური გათბობით, 2 შესასვლელით. ფასი 125 000 დოლარის ეკვივალენტი ლარებში. ტელ: 895-30-73-59.

❖ იყიდება 3-ოთახიანი თუხარელის პროექტის ბინა, მე-5 სართულზე, მიშენების პერსპექტივით. ნუცუბიძის პლატოს მე-4 მ/რ-ის დასაწყისში. ფასი 55 000 დოლარის ეკვივალენტი ლარებში. ტელ: 21-75-09.

განცხადებები

● ამერიკაშისტაჟირებულიფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-ესის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის სანყისებზე. ტელ: 95-32-12.

● გთავაზობთ ეპილეაციას უმაღლესი ხარისხით. ჭარბთმიანობას აქრობს სწორად გაკეთებული ეპილეაცია, რომელსაც გთავაზობთ უწვრილესი ვოლფრამის ნემსით. მისამართი: მოსკოვის პროსპექტის ბოლოში, ტელ: 70-68-73; 855-492-934 კოსმეტოლოგი მერი.

● სილამაზის სალონ „შარმში“ უკრაინიდან ჩამოსული გოგონა, მაღალი კლასის სტილისტი, შეგასწავლით სტილისტ-ვიზაჟისტის პროფესიას, გაიცემა სერთიფიკატი, სწავლა მაღალ დონეზე. მომსახურება: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საბანკეტო, საქორწილო ვარცხნილობები. მის: მ.მარჯანიშვილი, აღმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ქირავდება ქალაქის ცენტრში, მეტრო ნაძალადევის ეზოში, 113-ე საშუალო სკოლის სამხრეთ კედელთან ვვროპული სტილის პრესტიჟული ოფისი, 2 ოთახით. ტელ: 66-41-38. პლატონ ქავთარაძე.



მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608

ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

საჩოგბურთო სეზონის სამი იმედგაცრუება

საჩოგბურთო ექსპერტებმა იმსჯელეს და მიმდინარე წლის სამი ყველაზე დიდი იმედგაცრუება დაადგინეს ქალ ჩოგბურთელთა შორის, რომელთა სიაში სერბი ანა ივანოვიჩი, რუსი ანა ჩაკვეტა ე და ჩეხი ნიკოლ ვაიდიშოვა მოხვდნენ.

ანა ივანოვიჩი

მიმდინარე სეზონი 22 წლის სერბი სპორტმენისთვის არცთუ სახარბიელო გამოდგა. ექსპირველმა ჩოგანმა სეზონი ვტა-ს რეიტინგში მე-5 ადგილით დაინყო და 21-ე ადგილზე დაასარულა. ამასთან, არ მოუგია არც ერთი ტიტული. ერთადერთი ნათელი წერტილი ინდიანა-უელსის ტურნირზე ფინალში გასვლაა, სადაც ვერა ზვონარევასთან დამარცხდა. დიდი შლემის ტურნირებზე კი 2008 წლის „როლან გაროსის“ გამარჯვებული ვერც ერთხელ ვერ გასცდა მეოთხე წრეს. ივანოვიჩის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა სპეციალისტები, რომ მწვრთნელის ხშირი ცვლა ძალიან ცუდად მოქმედებს ჩოგბურთელზე. მიმდინარე სეზონში კი სერბი ჩოგბურთელი სწორედ მწვრთნელების ძებნით იყო დაკავებული. ივნისში ივანოვიჩი დაშორდა მწვრთნელ კრეიგ კარდონს, რომელთანაც სულ 4 თვე დაჰყო, ამასთან, ანას გუნდი დატოვა ფიზმომზადების მწვრთნელმაც. სერბი ჩოგბურთელი ექსპერიმენტებს ატარებდა მონოდებებზეც, რომელიც წლის განმავლობაში 6-ჯერ შეცვალა, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიოხ. ზაფხულის პერიოდში ივანოვიჩმა ამერიკული ტურნეს დროს ვერც ერთ შეჯიბრებაში ვერ მოახერხა 2 მატჩზე მეტის მოგება, ხოლო ამერიკის ღია პირველობაზე პირველივე წრეში დამარცხდა უკრაინელ კატერინა ბონდარენკოსთან. ყველაფერთან ერთად ივანოვიჩი ტრავმებმაც გააწამა, რის გამოც მადრიდისა და პეკინის ტურნირებმა გამოტოვება მოუწია.

ანა ჩაკვეტაძე

ქართული ფესვების მქონე რუსი ჩოგბურთელი წლის იმედგაცრუების სიაში ზედიზედ მეორედ მოხვდა. უოლბლო 2008 წლის სეზონის შემდეგ, სადაც ანა მე-6 ადგილიდან მე-18 ადგილამდე დაქვეითდა, კიდევ უფრო ცუდი სეზონი ჩაატარა. ივანოვიჩის მსგავსად ვერც ჩაკვეტაძემ „იპოვა“ მწვრთნელი. წლის დასაწყისში ანას მწვრთნელი ბენტ ლენტმი იყო, შემდეგ კი ხოსე კლავეტთან მუშაობდა. თავად ჩოგბურთელის თქმით, ესპანელმა სპეციალისტმა შეძლო მისი დეპრესიიდან გამოყვანა, მაგრამ შედეგებში წინსვლა არ ასახულა. არც ერთ ტურნირში, რომელშიც ჩაკვეტაძემ მიიღო მონაწილეობა, ჩოგბურთელი მესამე წრეს ვერ გასცდა, მხოლოდ ნიუ ჰეივენის ტურნირზე მოახერხა მეოთხედფინალში გასვლა. დიდი შლემის ტურნირებზე კი მეორე წრეს ვერ გასცდა. სეზონის ბოლოს სულაც კოჭის ტრავმა მიიღო და სეზონი 68-ე ადგილზე დაასრულა.

ნიკოლ ვაიდიშოვა

ჩეხი ჩოგბურთელიც მეორედ მოხვდა იმედგაცრუებულ ჩოგბურთელთა სიაში. მისი კარიერის დასაწყისი გულშემატკივრებს ძალიან ბევრს ჰპირდებოდა — 2007 წელს ავტრალიის ღია პირველობაზე ნახევარფინალში გასვლის დროს 17 წლის იყო და როგორც ახალ ვარსკვლავზე ისე ალაპარაკდნენ. იმავე წელს „როლან გაროსზე“ და „უიმბლდონზე“ მეოთხედფინალებამდე მივიდა და ვტა-ს რეიტინგის საუკეთესო ათეულში შევიდა. ძნელი სათქმელია, რა იყო ჩეხი სპორტსმენის ჩავარდნის მიზეზი, სპეციალისტები უფრო ახალგაზრდულ ასაკში მიღწეული წარმატებებით გაბრუებას აბრალებენ, ამასთან, ჩოგბურთში გამოჩენისთანავე გააჩაღა რომანი ასევე ჩეხ ჩოგბურთელ რადეკ შტეპანეკთან და მცირე დროს უთმობდა ვარჯიშებს. მიმდინარე წელს ვაიდიშოვამ ისევ დაიწყო ვარჯიში პირველ მწვრთნელ ალექს კოდატთან, მაგრამ წინსვლა არ დაეტყო. მეტიც, უიმბლდონის ტურნირზე პირველსავე წრეში დამარცხდა და ასეულში ადგილი დაკარგა. ამის შემდეგ ნიკოლ ან პირველივე წრეში მარცხდებოდა, ანაც სულაც საკვალიფიკაციო ეტაპზე ეთიშებოდა ტურნირზე. სადღეისოდ, კი ვტა-ს რეიტინგში 187-ე ადგილი უჭირავს.

თავდასხმა თავდამსხმელზე

იტალიურ „პალერმოს“ მაინცდამაინც კარგი შობის დღესასწაული არ უთენდება.

სიცილიური კლუბის ურუგვაელ თავდამსხმელ ედისონ კავანის თავს გულშემატკივრები დაესხნენ. ინციდენტი კლუბის საწვრთნელი ბაზის სიახლოვეს მოხდა, როდესაც ფეხბურთელი ვარჯიშის შემდეგ შინ გამგზავრებას აპირებდა. გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმის მიზეზი კავანის სხვა გუნდში შესაძლო გადასვლის შესახებ აგორებული ხმებია.

— მახსოვს რამდენიმე დარტყმა ჩემი მანქანის მინაზე, როდესაც საწვრთნელი ბაზის ტერიტორიას ვტოვებდი. ასეთი ფაქტი აბსურდულია. ისე ვიყავი აღშფოთებული დაუყოვნებლივ მინდოდა კლუბის დატოვება და სამშობლოში გამგზავრება, — განახადა ფეხბურთელმა, რომელიც „პალერმოს“ 2007 წლიდან იცავს.

თუ კავანის შემორიგება ჯერ კიდევ შესაძლებელია, მეორე თავდამსხმელის, ფაბრიციო მიკოლის ტრავმას 2 თვე არაფერი ეშველება. მიკოლინ კვირას, „სიენასთან“ მატჩისას ბარძაყის კუნთი დაიზიანა.

— მიკოლის კუნთი საკმაოდ სერიოზულად დაიზიანა. სამწუხაროდ, ფაბრიციო უახლოესი 2 თვის განმავლობაში ვერ შეძლებს გუნდის დახმარებას. არადა, ფეხბურთელი შესანიშნავ ფორმაში იყო და ნელს მისმა გოლებმა მნიშვნელოვანი ქულები მოგვიტანა. იმედი გვაქვს, გამოჯანმრთელების შემდეგ, ისევ ჩვეულად ათამაშდება, აღნიშნულია, „პალერმოს“ ვებგვერდზე.

გეგმაცვით, რომ მიკოლიმ მიმდინარე სეზონში 16 მატჩში 6 გოლი გაიტანა და ამდენივე საგოლე გადაცემა მიითვალა. ბოლო დროს მის იტალიის ნაკრებში დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, „სკუადრა აძურას“ კარი მისთვის გაურკვეველი დროით დაიხურა.

გეგმაცვით იმასაც, რომ მიკოლის გამოჯანმრთელებამდე და თუ კავანი „პალერმოს“ დატოვებს, ქართველ ფეხბურთელ ლევან მჭედლიძეს თავის გამოჩენის შანსი მიეცემა.

დელ პოტრო მესიზე უკეთესია

არგენტინაში უკვე დაასახელეს წლის საუკეთესო სპორტსმენი, რომელიც ტრადიციულად „ოლიმპია დე ორო“-ს პრემიით დაჯილდოდდა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არგენტინის საუკეთესო სპორტსმენად არა „ბარსელონას“ ფეხბურთელი ლეო მესი, არამედ ჩოგბურთელი ხუან მარტინ დელ პოტრო დაასახელეს. მესი ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო მესამე ადგილზე გოლფისტი ანხელ კაბერერა გავიდა.

თუ დელ პოტროს წლევანდელ სეზონს გადავხედავთ, წლევანდელი მიღწევა მხოლოდ ამერიკის ღია პირველობის მოგებაა, თუმცა, მუდმივად ტრიალებდა საუკეთესო ჩოგბურთელთა სიაში და გამოკვეთილი ფავორიტები (ფედერერი, ნადალი, ჯოკოვიჩი) ყოველთვის უფრთხოდნენ მასთან თამაშს.

ალაძეს სამეული მიაახლოვა და სიტის მიუახლოვდა

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენისას ფიფა აზრს ყველა ნაკრების მთავარ მწვრთნელსა და გუნდის კაპიტანს დაეკითხა. რა თქმა უნდა, მათ შორის ექტორ რაულ კუპერი და კახა კალაძეც იყვნენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი სამეული (მესი, რონალდუ, ხავი) ვერც ერთმა მათგანმა ვერ გამოიცნო, თუმცა, საუკეთესო ორივე მათგანმა სწორად დაასახელა.

კუპერის სამეული ასე გამოიყურებოდა — მესი, ხავი, ჯეერარდი. არგენტინელმა მწვრთნელმა მესის პირველობა და ხავის სამეულში მოხვედრა კი გამოიცნო, მაგრამ ესპანელი ფეხბურთელი ერთი ადგილით დაანნაურა, ხოლო მეორე ადგილზე გასული რონალდუ საერთოდ არ მოახვედრა სამეულში.

კალაძის სამეული უფრო მიახლოვებული იყო — მესი, რონალდუ, კაკა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა პირველ-მეორე ადგილებზე გასული ფეხბურთელები სწორად გამოიცნო, ხოლო მესამეს დასახელებისას მცირედით შეცდა — კაკამ სულ 6 ხმით წააგო ხავისთან.

რადგან კალაძე ვახსენეთ, იმასაც გეტყვით, რომ ჩვენი ნაკრების კაპიტანმა ახალი სატრანსფერო შეთავაზება მიიღო. „ძილანი ნიუსის“ ცნობით, „მანჩესტერ სიტის“ ახალი მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი ქართველი ფეხბურთელის გადაბირებით არის დაინტერესებული. მანჩინი კარგად არის ჩახედული იტალიურ ფეხბურთში, ხოლო „სიტის“ შენებას დაცვის გაძლიერებით იწყებს, ამიტომაც მანჩინიმ 31 წლის კალაძე გაიხსენა.

შუმახერი ფორმულას დაუბრუნდა

შვიდგზის მსოფლიოს ჩემპიონი მიხაელ შუმახერი ფორმულა 1-ს უბრუნდება, მაგრამ ამჯერად „მერსედესის“ საჭეს მიუჯდება. ეს ინფორმაცია პოპულარულმა გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“ გაავრცელა.

გამოცემის ცნობით, შუმახერმა და „მერსედესმა“ კონტრაქტი ინგლისურ ქალაქ ბრეკლში გააფორმეს, რომლის თანახმად პილოტის ხელფასი წელიწადში 7 მილიონი ევრო იქნება. 2010 წლის იანვარში შუმახერმა უკვე პირველი საცდელი რბოლა უნდა გაიაროს ახალ ბოლიდზე და სეზონისთვის მზადება უნდა დაიწყოს.

ამ შეთანხმების თაობაზე საინფორმაციო გამოშვებები დიდი ხანია წერდნენ, მაგრამ არც ავტოკონცერნის ხელმძღვანელობა და არც თავად პილოტი ინფორმაციას არ ადასტურებდნენ და ბოლომდე დუმილს არჩევდნენ.

შემახერი, რომელმაც სარბოლო კარიერა 2006 წელს დაასრულა, ჯერ კიდევ ზაფხულში შესაძლო დაბრუნებაზე ალაპარაკდა, მაგრამ მაშინ საუბარი ავტოკონცერნ „ფერარიზე“ იყო, რომლის შემადგენლობაში შუმიმ ყველაზე დიდ წარმატებებს მიაღწია. „ფერარიში“ დაბრუნება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, როდესაც უნგრეთის გრანდ-პრის დროს ტრავმა მიიღო ფელიპე მასამ. თუმცა, მაშინდელი დაბრუნება წლის დასაწყისში მოტოციკლეტის მართვის დროს ავარიის შედეგად დაზიანებულმა კისერმა გადადო და „წითელი ბარონი“ მხოლოდ ახლა დაუბრუნდა ფორმულა 1-ს, მაგრამ უკვე „მერსედესის“ საჭესთან.

2010 წლის სეზონი კი 14 მარტს დაიწყება და შუმახერიც თავის დაბრუნებას ბაჰრეინის გრან-პრით დაიწყებს.

ქრისტიანე რონალდუ: „მიხარია, რომ პირველი ჯილდო მე მერგო“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ფეხბურთის თამაში როგორ შეგვიძლია. გუნდმა ისე უნდა ითამაშოს, როგორც შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩებში. მართალია, ეს რთული იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.

— *ჯგუფიდან გასასვლელად უმთავრეს მატჩად რომელი მიგაჩნიათ?*

— რა თქმა უნდა, ჯგუფში ყველა მატჩი მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ პირველი მატჩი კოტ დივუარის ნაკრებთან გამორჩეული უნდა გამოდგეს. აფრიკელებს ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდი ჰყავთ და ამასთან, არც ჩვენზე ნაკლები მოტივაცია ექნებათ. მათთან რთული დაპირისპირება გველის, მაგრამ პორტუგალიის ნაკრების შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ.

— *შესარჩევ ციკლში პორტუგალიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა პლეი-ოფის გავლით მოუხდა. ბოსნია-ჰერცეგოვინასთან მატჩები ტრავმის გამო გამოტოვეთ. რა გრძნობა დაგეუფლათ მაშინ?*

— შესარჩევი ტურნირი ძალიან მძიმედ ჩავატარეთ, მაგრამ ბევრი მუშაობისა და მსხვერპლის გაღების გარეშე კარგი შედეგი არ მოდის. ხშირმა ტრავმებმა კი გადამწყვეტ მატჩებში თამაშის საშუალება არ მომცა. თუმცა, იმედს ვიტოვებ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები და გუნდისთვის მაქსიმუმს გავიღებ.

— *ყველასთვის ნათელია, რომ სამხრეთ აფრიკაში ყველას ყურადღების ეპიცენტრში იქნებით. ზედმეტი ყურადღება თქვენზე გავლენას ხომ არ მოახდენს?*

— სამხრეთ აფრიკაში ძალიან ბევრი პორტუგალიელი ემიგრანტი ცხოვრობს, ამიტომ ყურადღების ქვეშ არა მარტო მე, არამედ მთელი პორტუგალიის ნაკრები იქნება. ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგი იქნება. მსოფლიოს ჩემპიონატი ყველასგან გამორჩეული ტურნირია და ყველანაირად შევეცდებით, იმ გულშემატკივრებს, რომლებიც მხარს უშველიან ტრიბუნებიდან დაგვიჭერენ, დიდი სიხარული ვაჩუქოთ.

— *სამხრეთ აფრიკაში ნამყოფი ხართ?*

— არა და ამიტომ აფრიკაში ჩემს პირველ ვიზიტს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.

— *თუ პორტუგალიის ნაკრები ჯგუფიდან გავა, არის შანსი, რომ მერვედფინალში ესპანეთის ნაკრებს შეხვდეთ. ამის შესახებ თუ გისაუბრიათ თანაგუნდელებთან?*

— პირველ რიგში მთლიანად ჯგუფურ ეტაპზე ვართ კონცენტრირებული და შემდეგ მეტოქეებზე არ ვფიქრობთ. ჯგუფიდან გასვლის შემდეგ მეტოქეები სულ უფრო გართულდება. შესაძლოა, ერთ-ერთი მათგანი ესპანეთის ნაკრებიც იყოს, მაგრამ ამაზე ჯერ არ ვფიქრობ. ჩვენი პირველი ამოცანა სასტარტო მატჩის მოგებაა.

— *პორტუგალიის ნაკრებით მთავარ მწვრთნელ კარლოს კეიროუშთან ერთად „მანჩესტერშიც“ გიმუშავიათ. მისი საფეხბურთო მსოფლმხედველობა ნაკრებსა და გუნდში განსხვავდება ერთმანეთისგან?*

— კეირუში ზუსტად ის პიროვნებაა, რაც „მანჩესტერში“ იყო — ჩინებული მწვრთნელი და კარგი ადამიანი. ყველა კარგად ვხედავთ, რომ კეროუში გუნდისთვის ყველაფერს აკეთებს. თავადაც კარგად გვაქვს გაანალიზებული, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ყველა ფეხბურთელის კარიერაში გამორჩეული მოვლენაა. დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

— *ზაფხულში გუნდი შეიცვალეთ და მადრიდის „რეალში“ გადადგარგდით. მადრიდულ კლუბში გატარებულ რამდენიმე თვეს რა შეფასებას მისცემდით?*

— მადრიდში ახალი გამოწვევებია. „რეალიც“ და „მანჩესტერიც“ დიდი გუნდებია, მაგრამ ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული. რამდენჯერმე ვთქვი, რომ „მანჩესტერში“ გარკვეული ციკლი დავსრულე და „რეალში“ ახალი ერა დავიწყე. ვფიქრობ, „რეალთან“ ერთად არანაკლები ტიტულების მოპოვება შემიძლია — მადრიდში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

— *რთული მომავალი წელი გელით — ბრძოლა პრიმერა დივიზიონში, ჩემპიონთა ლიგაში და მსოფლიოს ჩემპიონატზე. თავად რა მიზნები გაქვთ?*

— ცხადია, ყველაფრის მოგებაზე ვფიქრობ. „რეალი“ ბრწყინვალე გუნდია და პრიმერა დივიზიონისა და ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია. მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება კი გაცილებით რთული იქნება, მაგრამ იმედს არ ვკარგავ — ფეხბურთში ყველაფერი ხდება. უფრო მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ამჟამად ჩემი ფიქრები მარტო „რეალს“ დასტრიალებს, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატამდე 6 თვეა დარჩენილი, მასზე ფიქრს საკლუბო ამბების დასრულების შემდეგაც მოვასწრებ.

თავდასხმა თავდამსხმელზე

იტალიურ „პალერმოს“ მაინცდამაინც კარგი შობის დღესასწაული არ უთენდება.

სიცილიური კლუბის ურუგვაელ თავდამსხმელ ედისონ კავანის თავს გულშემატკივრები დაესხნენ. ინციდენტი კლუბის საწვრთნელი ბაზის სიახლოვეს მოხდა, როდესაც ფეხბურთელი ვარჯიშის შემდეგ შინ გამგზავრებას აპირებდა. გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმის მიზეზი კავანის სხვა გუნდში შესაძლო გადასვლის შესახებ აგორებული ხმებია.

— მახსოვს რამდენიმე დარტყმა ჩემი მანქანის მინაზე, როდესაც საწვრთნელი ბაზის ტერიტორიას ვტოვებდი. ასეთი ფაქტი აბსურდულია. ისე ვიყავი აღშფოთებული დაუყოვნებლივ მინდოდა კლუბის დატოვება და სამშობლოში გამგზავრება, — განახადა ფეხბურთელმა, რომელიც „პალერმოს“ 2007 წლიდან იცავს.

თუ კავანის შემორიგება ჯერ კიდევ შესაძლებელია, მეორე თავდამსხმელის, ფაბრიციო მიკოლის ტრავმას 2 თვე არაფერი ეშველება. მიკოლინ კვირას, „სიენასთან“ მატჩისას ბარძაყის კუნთი დაიზიანა.

— მიკოლის კუნთი საკმაოდ სერიოზულად დაიზიანა. სამწუხაროდ, ფაბრიციო უახლოესი 2 თვის განმავლობაში ვერ შეძლებს გუნდის დახმარებას. არადა, ფეხბურთელი შესანიშნავ ფორმაში იყო და ნელს მისმა გოლებმა მნიშვნელოვანი ქულები მოგვიტანა. იმედი გვაქვს, გამოჯანმრთელების შემდეგ, ისევ ჩვეულად ათამაშდება, აღნიშნულია, „პალერმოს“ ვებგვერდზე.

გეგმაცვით, რომ მიკოლიმ მიმდინარე სეზონში 16 მატჩში 6 გოლი გაიტანა და ამდენივე საგოლე გადაცემა მიითვალა. ბოლო დროს მის იტალიის ნაკრებში დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, „სკუადრა აძურას“ კარი მისთვის გაურკვეველი დროით დაიხურა.

გეგმაცვით იმასაც, რომ მიკოლის გამოჯანმრთელებამდე და თუ კავანი „პალერმოს“ დატოვებს, ქართველ ფეხბურთელ ლევან მჭედლიძეს თავის გამოჩენის შანსი მიეცემა.

დელ პოტრო მესიზე უკეთესია

არგენტინაში უკვე დაასახელეს წლის საუკეთესო სპორტსმენი, რომელიც ტრადიციულად „ოლიმპია დე ორო“-ს პრემიით დაჯილდოდდა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არგენტინის საუკეთესო სპორტსმენად არა „ბარსელონას“ ფეხბურთელი ლეო მესი, არამედ ჩოგბურთელი ხუან მარტინ დელ პოტრო დაასახელეს. მესი ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო მესამე ადგილზე გოლფისტი ანხელ კაბერერა გავიდა.

თუ დელ პოტროს წლევანდელ სეზონს გადავხედავთ, წლევანდელი მიღწევა მხოლოდ ამერიკის ღია პირველობის მოგებაა, თუმცა, მუდმივად ტრიალებდა საუკეთესო ჩოგბურთელთა სიაში და გამოკვეთილი ფავორიტები (ფედერერი, ნადალი, ჯოკოვიჩი) ყოველთვის უფრთხოდნენ მასთან თამაშს.

ალაძეს სამეული მიაახლოვა და სიტის მიუახლოვდა

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენისას ფიფა აზრს ყველა ნაკრების მთავარ მწვრთნელსა და გუნდის კაპიტანს დაეკითხა. რა თქმა უნდა, მათ შორის ექტორ რაულ კუპერი და კახა კალაძეც იყვნენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი სამეული (მესი, რონალდუ, ხავი) ვერც ერთმა მათგანმა ვერ გამოიცნო, თუმცა, საუკეთესო ორივე მათგანმა სწორად დაასახელა.

კუპერის სამეული ასე გამოიყურებოდა — მესი, ხავი, ჯეერარდი. არგენტინელმა მწვრთნელმა მესის პირველობა და ხავის სამეულში მოხვედრა კი გამოიცნო, მაგრამ ესპანელი ფეხბურთელი ერთი ადგილით დაანნაურა, ხოლო მეორე ადგილზე გასული რონალდუ საერთოდ არ მოახვედრა სამეულში.

კალაძის სამეული უფრო მიახლოვებული იყო — მესი, რონალდუ, კაკა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა პირველ-მეორე ადგილებზე გასული ფეხბურთელები სწორად გამოიცნო, ხოლო მესამეს დასახელებისას მცირედით შეცდა — კაკამ სულ 6 ხმით წააგო ხავისთან.

რადგან კალაძე ვახსენეთ, იმასაც გეტყვით, რომ ჩვენი ნაკრების კაპიტანმა ახალი სატრანსფერო შეთავაზება მიიღო. „ძილანი ნიუსის“ ცნობით, „მანჩესტერ სიტის“ ახალი მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი ქართველი ფეხბურთელის გადაბირებით არის დაინტერესებული. მანჩინი კარგად არის ჩახედული იტალიურ ფეხბურთში, ხოლო „სიტის“ შენებას დაცვის გაძლიერებით იწყებს, ამიტომაც მანჩინიმ 31 წლის კალაძე გაიხსენა.

დელ ბოსკე დარჩა, ლევანი მივიდა

ორი ევროპული ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა მწვრთნელების საკითხი მოაგვარა.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების ამჟამინდელ მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს კიდევ 2 წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი და ახლა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატს ბოლომდე უხელმძღვანელებს.

— დირექტორთა საბჭოს სურვილი ჰქონდა ნაკრების თავარი მწვრთნელის თანამდებობაზე კიდევ 2 წლით დარჩენილიყო ვისენტე დელ ბოსკე, მიუხედავად იმისა, თუ როგორ შედეგს აჩვენებს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე, — განაცხადა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილარმმა.

შეგახსენებთ, რომ დელ ბოსკემ ნაკრები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჩაიბარა და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ქულადაუკარგავად განვლო, ხოლო მისი ხელმძღვანელობით გუნდმა სულ 22 მატჩი ჩაატარა და 21 გამარჯვება მოიპოვა.

ახალი მწვრთნელი ეყოლება შოტლანდიის ნაკრებს. იქაურმა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ იმსჯელა და ეროვნული ნაკრები 45 წლის სპეციალისტ კრეიგ ლევანის 2 წლით ჩაბარა.

ლევანი ბოლოს „დანდი იუნაიტედს“ წვრთნიდა და მისი საკმაოდ სქოთთა ფეხბურთის მამებმა დადებითად შეაფასეს.

შედეგები

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩი

კატალონია-არგენტინა	4:2

საფინანგეთი. I ლიგა

ლანსი-სენტ ეტიენი	1:0

საფინანგეთი. II ლიგა

ბასტია-ტურონ	3:1
გენგამი-კლერმონი	1:1
დიჟონი-ბრესტი	1:3
ლავალი-ვანი	2:1
ნიმი-ისტრი	2:1
ჰავრი-სტრასბურგი	3:0
ნანტი-ანჟუ	1:2
შატორუ-აიაჩო	1:2
არლი-სედანი	გადაიდო

ჰოლანდია. თასი

ფეინოორდი-ალკმაარი	1:0

თუჰეთი. თასი

ანთალია-ერჩიესი	1:0

კალათბურთი

ნბა. ჩემპიონატი

ვაშინგტონი-ფილადელფია	105:98
შარლოტი-დეტროიტი	88:76
ბოსტონი-ინდიანა	103:94
ნიუ იორკი-ჩიკაგო	88:81
მემფისი-გოლდენ სტეიტი	121:108
მინესოტა-ატლანტა	87:112
ზაზა ფაჩულია: 4 ქულა, 1 მოხსნა	
დალასი-პორტლენდი	81:85
ჰიუსტონი-კლიპერსი	108:99
ლეიკერსი-ოკლაჰომა	111:108

ჰოკეი

ნჰლ. ჩემპიონატი

ჩიკაგო-სან ხოსე	2:3
კოლორადო-ანაჰაიმი	2:4
ვანკუვერი-ნეშვილი	4:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

დღის კალენდარი

24 დეკემბრისთვის

წლის 358-ე დღე, ახალი წლამდე დარჩა 7 დღე.

საეკლესიო კალენდარი

სულთმოფენობიდან 29-ე შვიდეული. ხუთშაბათი.

ხსენება ყოველთა წმიდათა - საქართველოში წამებულთა ღირსთა მამათა და დედათა, რომელთა შორის უნდა ვიგულისხმოთ: აბელი, აბესალომ, აბუსერი, ავაგი, ავგაროზი, ავთანდილი, ალმასხანი, ამირანი, ამირანდოო, ანდუყაფარი, არჯევანი, ასლანი, ასპანი, აფრასიონი, აღბულა, ბაადური, ბააკა, ბაკური, ბარათა, ბახვა, ბახუტა, ბებური, ბეგლარი, ბედიანი, ბეკო, ბეშქენი, ბირთველი, ბიჭინა, ბოცო, გაგა, გარსევანი, გელა, გემელი, გივი, გოდერძი, გოსტაშაბი, გოჩა, გოჯასპირი, გუგუნა, გულბაათი, გურასპი, გურგენი, დარისპანი, დაჩი, დემური, დიასამი, დოლენჯი, დურმიშხანი, ედიშერი, ევდომოსი, ეზრა, ელგუჯა, ერეკლე, ვამეყი, ვამეხი, ბარამი, ვაა, ვარაზა, ვარაზვაჩე, ვარამი, ვაფა, ვარდენი, ანუ ვარდანი, ვაჩე, ვახუშტი, ვირშელი, ზაალი, ზაზა, ზაუტა, ზებედე, ზურაბი, თადია, თათე, თარხანი, თაყა თაყინა, თეიმურაზი, თენგიზი, თორღვა, იაგორა, იაკინთე, იასე, იმედა, იოთამი, იორამი, კახაბერი, კვირია, კიკოლა, კოჩა, ლაშა, ლევანი, ლიპარიტი, ლომინი, მალხაზი, მამამზე, მამია, მამისთვალი, მამუკა, მანუჩარი, მაყა, მახარე, მერაბი, მინდია, მირმანოზი, მურმანი, მურძაყანი, ნავროზა, ნარიმანი, ნინია, ნოდარი, ნოშრევანი, ნუგზარი, ოთარი, ომანა, ონისიმე, ოსე, ოტია, ოქროპირი, პაატა, პალი, პაპალა, პაპუნა, რამაზი, რამინი, რატი, როინი, რომანი, როსება, როსტევანი, როსტომი, საამი, სავლე, სარგისი, სარდიონი, სარიდანი, საურმაგი, სესია, სეხნია, სიაოში, სიდამონი, სულა, სულმამა, სულხანი, სუბატი, ტარიელი, ტეტია, უფლისა, უშანგი, ფერმუზა, ფარნაოზი, ფარსადანი, ფეშანგი, ფირანი, ფიროზა, ფოცხვერა, ფრიდონი, ქავთარი, ქართლოსი, ქვაბული, ქველი, ქობული, ქუცნა, ღვთისავარი, ღულენა, ყარამანი, ყაფლანი, ყაყიტა, ყვარყვარე, შაბური, შადიმანი, შამადავლე, შანშე, შერმზანი, შერმადინი, შიაოში, შოთა, შოშიტა, ცისკარი, ცოტნე, ხახუტა, ხოსიტა, ჭოლა, ჯაბა, ჯავახა. აგრაფინა, ანუკა, ასმათი, ასპიროზა, გვანცა, გუბულა, გულვარდისა, გულისა, გულნაზი, გულნარა, გულქანა, გულჯავრი, გუჯა, დარეჯანი, დესპინე, ესმა, ვარსკვლავისა, ზეინაბი, თათია, თეოლა, თინათინი, თმაგიშერა, თუთა, თუთია, კესარა, კრავია, ლამაზა, ლამარა, ლელა, ლერწამისა, მაგდანი, მაია, მაკა, მანანა, მარგალიტა, მარიხი, მზეთვალა, მზეკალა, მზეხა, მზისთანადარი, მნათობი, მნათობისა, მონავარდისა, ნადია, ნარგიზი, ნესტანი, პირვარდისა, პირიმზე, როდამი, რუსა, საგდუხტა, ტერეზია, უმანკო, ფატმანი, ფაქიზო, ფაცია, ქაბატო, ქურციკა, ცაცო, ციცია, ციცინო, ხათუნა, ხვარამზე, ხვაშაქი, ხორეშანი. ღირსი დანიელ მესვეტისა (489-490); მოწამეთა: მირაქსისა, აკეფსისა და აითალასი (VII); ღირსი ლუკა მესვეტისა (დაახლ. 970-980).

დაიბადნენ:

1167 — იოანე უმიწაწყალო, ინგლისის მეფე. გარდაიცვალა 1216 წელს.
1475 — თომას მორნერი, გერმანელი პოეტი. გარდაიცვალა 1537 წელს.
1491 — იგნატიუს ლოიოლა, ესპანელი წვრილაზნაური. 1534 წელს შექმნა იეზუიტების ორდენი. გარდაიცვალა 1556 წელს.
1503 — მიშელ ნოსტრადამუსი, ფრანგი ექიმი, ასტროლოგი, წინასწარმეტყველი. გარდაიცვალა 1566 წელს.
1798 — ადამ მიცკევიჩი, პოლონელი პოეტი, კრიტიკოსი. გარდაიცვალა 1855 წელს.
1818 — ჯეიმს პრესკოტ ჯოული, ინგლისელი ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1889 წელს.
1822 — მეთიუ არნოლდი, ინგლისელი პოეტი, პუბლიცისტი. გარდაიცვალა 1888 წელს.
1837 — ჰანს ფონ მარე, გერმანელი ფერმწერი. გარდაიცვალა 1887 წელს.
1868 — ემანუელ ლასკერი, გერმანელი მოჭადრაკე, მსოფლიოს ჩემპიონი. გარდაიცვალა 1941 წელს.
1886 — ბენედიქტ ლივშიცი, რუსი პოეტი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1939 წელს.
1904 — ნიკოლოზ რეხვიაშვილი, ეთნოგრაფი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. გარდაიცვალა 1974 წელს.
1912 — არჩილ კერესელიძე, გამოჩენილი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1971 წელს.
1921 — შოთა ციციშვილი, მხატვარი, კერამიკოსი.
1929 — ვასილ კიკნაძე, თეატრმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

გახდაიცვალნენ:

1524 — ვასკო და გამა, პორტუგალიელი მოგზაური.
1863 — უილიამ თეკერეი, ინგლისელი მწერალი, კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.
1889 — სერგეი ბოტკინი, რუსი თერაპევტი და საზოგადო მოღვაწე.
1935 — ალბან ბერგი, ავსტრიელი კომპოზიტორი.
1979 — გიორგი კვიტაშვილი, ინფექციონისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.
1994 — ჯონ ოსბორნი, ინგლისელი დრამატურგი.
1997 — ტოსირო მიფუნე, გამოჩენილი იაპონელი მსახიობი.

მოვლენები:

1814 — გენტის სამშვიდობო მოლაპარაკებით დასრულდა ინგლის-ამერიკის ომი, რომელიც 1812 წელს დაიწყო.
1865 — ქალაქ პულასკში სამოქალაქო ომში (1861 — 1865) დამარცხების შემდეგ კონფედერატებმა შექმნეს ტერორისტულ- რასისტული საიდუმლო ორგანიზაცია „კუ-კლუკს-კლანი“.
1871 — ქაიროში შედგა ჯუზეპე ვერდის ოპერის „ვერდის“ პრემიერა.
1906 — აშშ-ში მუშაობა დაიწყო პირველმა რადიოგადამცემმა სადგურმა, რომელმაც გადასცა მუსიკა, ლექსები და საუბრები.
1942 — პენემიუნდეში ჩატარდა ვერნერ ფონ ბრაუნის მიერ შექმნილი რაკეტის ᲐᲓ76—ის პირველი საცდელი გაფრენა.
1977 — ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბეგინი ოფიციალური ვიზიტით ეგვიპტეში ჩავიდა, რაც ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველი გახდა.
1979 — საბჭოთა კავშირმა ჯარები შეიყვანა ავღანეთში.
1991 — საბჭოთა კავშირი აღარ არის გაეროს წევრი. მისი ადგილი რუსეთის ფედერაციამ დაიკავა. რუსეთი გახდა აგრეთვე გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი.

მედიანუსი

დუბაი პლაჟებს საგანგებოდ აკონტროლებს

მიმდინარე წლის იანვრიდან ოქტომბრამდე დუბაის პოლიციამ ქვეყნის პლაჟებზე ყოფაქცევის 6 ათასზე მეტი დარღვევა დააფიქსირა.

სამართალდარღვევების სპექტრი საკმაოდ ფართოა — ქალების თვალიერებით დაწყებული, კოცნით, ტანისამოსით ან საცვლების ამარა ბანაობით დამთავრებული.

ბოლო დროს დუბაის საემირო პლაჟზე მსგავსი ყოფაქცევის აღკვეთას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. დუბაიში მრავალი ტურისტი ჩადის, რომლებიც უყურადღებოდ არც ქვეყნის პლაჟებს ტოვებენ. გარდა ამისა, აქ მრავალი უცხოელი მოქალაქე ცხოვრობს და მუშაობს.

მიუხედავად ამისა, პოლიციის მიერ დაკავებულთა უმეტესობა განვითარებადი ქვეყნების მკვიდრია, რომლებიც საემიროში არაკვალიფიციური სამუშაოთი არიან დაკავებული.

ერთი წლის წინ დუბაი საინფორმაციო გამოშვებების სათაურებში მოხვდა. საემიროს სასამართლომ ქალაქის პლაჟზე ინტიმური კავშირისათვის ბრიტანელი წყვილი დამნაშავედ ცნო და სამი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მათ.

პლაჟებზე სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი პოლიციელები მორიგეობენ. ღამღამობით ისინი მძლავრი პროჟექტორებით განათებულ სანაპირო ზოლს აკვირდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ დუბაიში უცხოელების რაოდენობა ადგილობრივ მოსახლეობას აღემატება, პოლიცია მუსლიმანური წესების დაცვას ფხიზლად ადევნებს თვალს. ასე მაგალითად, საემიროში, საგანგებოდ გამოყოფილი ადგილების გარდა, სპირტიანი სასმელების მიღება აკრძალულია. გარდა ამისა, კანონით ისჯება ქორწინების გარეშე ინტიმური კავშირი და ჰომოსექსუალისტური ურთიერთობები.

მუსლიმან ქალს ოთხი ქმარი უნდა ჰყავდეს?

საუდის არაბეთში ჟურნალისტმა ქალმა ნადინ ალ-ბუდეირმა ეგვიპტურ გაზეთ „ალ მასრი ალ იოუმში“ გამოაქვეყნა სტადია, რომელშიც მუსლიმანურ კანონმდებლობაში ქალის მიერ ერთდროულად ოთხი ქმრის ყოლის უფლების დამტკიცებისაკენ მოუწოდა.

სტატიამ არაბულ პრესაში ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებები დაიმსახურა, ახლო მომავალში იგი მუსლიმან ტრადიციონალისტებსა და რეფორმატორებს შორის დავის საგნად შეიძლება იქცეს და საქმე სასამართლო განხილვამდეც კი შეიძლება მივიდეს.

ეგვიპტის სახალხო დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ჰალიდ ფუად ჰაფეზმა, პროფესიით იურისტმა მიმართა ჟურნალისტსა და აგრეთვე გაზეთ „ალ მასრი ალ იოუმის“ მთავარ რედაქტორს, რომელმაც სტადია გაზეთში გაუშვა.

გაზეთის ინტერვიუში ჰაფეზმა განაცხადა, რომ სტატიაში გამოთქმული მოსაზრება მკრეხელობას წარმოადგენს და ამორალური ქმედებისაკენ მოუწოდებს, რაც, მისი აზრით, ეგვიპტის კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.

ნადინ ალ-ბუდეირი სპარსეთის ყურეში გამოცემულ მრავალ გაზეთთან თანამშრომლობს, გარდა ამისა, არაბულენოვან ამერიკულ ტელეარხზე „ალ ჰურა“ მიჰყავს სატევიზიო შოუ „მუსავა“ („თანასწორობა“), რომელიც არაბულ სამყაროში ქალების უფლებებს ეძღვნება.

თავისი სენსაციური დასკვნა ალ-ბუდეირმა სამედიცინო გენეტიკის უკანასკნელი მიღწევებით დაასაბუთა, კერძოდ, იმ გარემოებით, რომ დნმ ტესტირებით მამობის დადგენა არის შესაძლებელი.

ალ-ბუდეირის თქმით, მუსლიმანი ტრადიციონალისტები ამტკიცებენ, რომ ისლამი ქალს ერთდროულად ერთ ქმარზე მეტის ყოლას უკრძალავს იმის გამო, რომ ქალის დაორსულების შემთხვევაში მამის ვინაობის გამორკვევა შეუძლებელი იყო. ეს არგუმენტი დღეს უკვე კრიტიკას ვეღარ უძლებს, რადგან ბავშვის მამის ვინაობის დადგენა თანამედროვე მეცნიერებას დნმ ანალიზის საშუალებით შეუძლია.

თავის სტატიაში არაბი ჟურნალისტი ქალი მუსლიმან ღვთისმეტყველებს მოუწოდებს გამოსცენ ფატვა, რომელიც ქალებს ერთდროულად ოთხი ქმრის ყოლის უფლებას მისცემს და ამგვარად, მამაკაცებთან გაათანასწორებს. შარიათის კანონების თანახმად, მუსლიმან მამაკაცს ერთდროულად ოთხი ცოლის ყოლა შეუძლია.

ეს მოწოდება მრავალმა მუსლიმანმა მკრეხელობად მიიჩნია. ისინი ამტკიცებენ, რომ იგი ისლამის საფუძვლებს ეწინააღმდეგება. თუმცა, ალ-ბუდეირის ზოგიერთ კოლეგას მიაჩნია, რომ ჟურნალისტს უფლება აქვს წამოჭრას დისკუსია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, საზოგადოებას კი უფლება აქვს ეს პრობლემა გააშუქოს.

იშვიათი ჯიშის ვეფხვის შეჭამის გამო ჩინელ გლეხს 12 წელი მიუსაჯეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და ხელისუფლებისათვის ბრაკონიერობის ფაქტის შეუტყობინებლობის ბრალდებებით ასევე სასამართლო ელით.

შეჭამული ვეფხვი იშვიათი სახეობის, ინდოჩინური ვეფხვის წარმომადგენელი იყო. მეცნიერებისათვის იგი კორბეტის ვეფხვის სახელითაც არის ცნობილი.

არც ის არის გამორიცხული, რომ მოკლული ვეფხვი გადაშენების პირას მყოფი ამ სახეობის ჩინეთში მცხოვრები უკანასკნელი ეგზემპლარი იყო.

ვან ნიანის თქმით, მდინარის ნაპირზე იგი მოლუსკებს აგროვებდა, როდესაც ბუჩქებიდან ვეფხვი გამოვიდა. მან მაშინვე თოფი ესროლა მას, არ დაიცადა, სანამ ვეფხვი თავს დაესხმოდა.

ჩინური გაზეთების თანახმად, ვან ნიანს ვეფხვის მოკვლისათვის 10 წელი, იარაღის უნებართვო შენახვისათვის კიდევ 2 წელი პატიმრობა მიუსაჯეს.

გარდა ამისა, იუნანის პროვინციის სასამართლომ მას 480 ათასი იუანი (70 ათასი დოლარი) ჯარიმის გადახდა დააკისრა, რაც ჩინელი გლეხებისათვის ასტრონომიული თანხაა.

მეცნიერების თქმით, მსოფლიოში მხოლოდ 1000-მდე ინდოჩინური ვეფხვი დარჩა. ისინი ძირითადად ლაოსის, ვიეტნამის, კამბოჯის, ტაილანდისა და ბირმის ტყეებში ბინადრობენ.

მეცნიერებისათვის ცნობილი ერთადერთი ინდოჩინური ვეფხვი ჩინეთში იმავე რაიონში, სადაც კან ვან ნიანი ცხოვრობს, 2007 წელს ნახეს და ფირზე აღბეჭდეს. გამორიცხული არ არის, რომ მან სწორედ ეს ერთადერთი ეგზემპლარი მოკლა.

ამ ინციდენტიდან რამდენიმე თვის განმავლობაში მეცნიერები რაიონში სხვა ვეფხვების პოვნას ცდილობდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

მოამზადა ვენადი თავაურმა

ჯოსვოიდი ბ



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. აეროპორტი რომში; 2. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. ქვიანი და ქვიშიანი ნიადაგი; 5. საქართველოს ნაკრებისა და „პანათინაიკოსის“ კალათბურთელი; 9. დაქირავებული გამყიდველი მაღაზიაში; 12. გემთმშენებლობის ცენტრი უკრაინაში; 14. ქვევრიდან ღვინის ამოსაღები, გრძელყელიანი გოგრისგან დამზადებული ჭურჭელი; 15. პატარა მდინარე; 17. ქართული სამშენებლო კომპანია; 18. ბავშვი, ყმაწვილი.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 6. კუთხე საქართველოში; 7. ქართული მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი რეჟისორი, სცენარისტი; 8. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 10. „ფიატის“ ფირმის მიკროლიტრაჟიანი მსუბუქი ავტომობილი; 11. ისტორიული ციხე-ქალაქი სენაკის რაიონში; 13. მგალობელი ჩიტი; 16. ინდიელებისა და ევროპიდელი რასის ქორწინების შთამომავალი; 19. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 20. სავაჭრო საქმიანობა.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

ნინა ნომეხში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ფოცხვერი; 2. ბოდიუმი; 3. „სიონი“; 4. ბიბლისი; 5. „კანარგო“; 11. ვაშინგტონი; 12. ბეირუთი; 15. ბივშტექსი; 16. დნეპრი; 17. ფორმულა; 20. „ტოკაი“.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 6. ქორეოგრაფია; 7. ხილნარი; 8. „როიტერი“; 9. მერიმე; 13. თორი; 14. საბვეი; 18. კროსვორდი; 19. კოლე; 21. ტოლჩა; 22. ნილოსი; 23. რამიშვილი; 24. რაის შინა.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ხატწერა; 2. სფერო; 3. დინამიტი; 4. გოდერძი; 5. სალვადორი; 9. „გლაქსო“; 12. ბარტოკი; 14. ავუარი; 15. ეტლი; 17. მაცნე; 18. „ჯანი“.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 6. ზარაფი; 7. ბიოლოგია; 8. მწყერი; 10. „ბრერა“; 11. ჰაუპტვახტი; 13. პამპერსი; 16. ლაქშმი; 19. ავტობანი; 20. პიტიუნტი.

ლიტვის პარლამენტი ქვეყანაში სსს-ის ობიექტების არსებობას იკვლევს

ლიტვის პარლამენტის წარმომადგენლების განცხადებით, სეიმის კომისიამ, რომელიც ქვეყანაში სსს-ის საიდუმლო ციხეების არსებობის საკითხს სწავლობდა, დასასკვნა, რომ ლიტვაში ორი ამ სახის ცენტრი დანამდვილებით არსებობდა.

ლიტვის პარლამენტის უსაფრთხოების კომიტეტის წევრმა არვიდას ანუშკაუსკასმა ბიბისის ინტერვიუში აღნიშნა, რომ საგამოძიებო კომისიის ანგარიში უკვე დასრულებულია და უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება.

კომისიის დასკვნების თანახმად, ერთ-ერთ ამერიკულ ცენტრში პატიმრების შესახებ საჭირო პირობები მომზადებული იყო, მაგრამ სათავსოები არ გამოუყენებიათ.

რაც შეეხება მეორე ცენტრს, პარლამენტის დეპუტატებმა ამ ცენტრში ტერორიზმში ეჭვმიტანილთა ყოფნის დამადასტურებელი ცნობების მოპოვება ერ შეძლეს.

იმავდროულად, კომისიამ დაასკვნა, რომ ეს დანესებულებები ლიტვის სპეცსამსახურებისათვის დახურული იყო და ესს-ს მათი საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით გამოყენება შეეძლო.

შეკითხვის პასუხად, იყო თუ არა ცნობილი ამ ცენტრების არსებობის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტისათვის, ანუშკაუსკასმა განაცხადა, რომ ეს გამორიცხული არ არის, მაგრამ დანამდვილებით ამის თქმა შესაძლებელი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ლიტვის თავდაცვის საბჭოს მსგავსი საკითხები არ განუხილავს და არც შესაბამისი რეკომენდაციები გაუცია.

საპარლამენტო კომისიის მონაცემების თანახმად, მაღალი რანგის ჩინოსნებს აშშ-სთან თანამშრომლობის შესახებ მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია გააჩნდათ და კონკრეტული პროექტების შესახებ არეფერი იყო ცნობილი.

კომისიის წევრებმა, გარდა ამისა, აღიარეს, რომ 2005-2006 წლებში ლიტვის ტერიტორიაზე ეშვებოდნენ ამერიკული თვითმფრინავები, რომლებსაც დაშვებისას ადგილობრივი ხელისუფლები არ ამოწმებდნენ.

ანუშკაუსკასის თქმით, ლიტველი მესაზღვრეების შესაძლებლობები მინიმუმ ერთ შემთხვევაში შეიზღუდა.

ექსპერტები და ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ლიტვის ცენტრებს ცსს საიდუმლო ვითარებაში პატიმრების შესანახად და გადასაყვანად იყენებდა.

ირანის პრეზიდენტმა „თაიმსის“ პუბლიკაცია უარყო

ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა ფალსიფიცირებული უწოდა დოკუმენტს, რომელიც, არსებული ცნობების თანახმად, გაზეთ „თაიმსს“ ჩაუვარდა ხელში და რომელშიც ნათქვამია, რომ თეირანი ბირთვული მუხტების გამოცდას აპირებს.

ტელეკომანია „ეიბისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აჰმადინეჟადმა განაცხადა, რომ „თაიმსის“ პუბლიკაცია „ძირფესვიანად მცდარი“ იყო.

ირანის პრეზიდენტის თქმით, ირანის ბირთვული პროგრამის კრიტიკა „კბილებში გაჩხერილ უგემოვნო ხუმრობად“ იქცა.

ოფიციალური თეირანი კვლავიდებურად ამტკიცებს, რომ ირანის ბირთვული პროგრამა მშვიდობიან მიზნებს ისახავს.

მიმომხილველების თქმით, ირანის პრეზიდენტის მიერ ამერიკული ტელევიზიისათვის ინტერვიუს მიცემა მეტად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, ირანის პრეზიდენტის სიტყვებზე დაყრდნობით ისინი აცხადებენ, რომ საეჭვოა, ირანის მთავრობამ თავისი პოზიცია შეარბილოს.

გასულ კვირას „თაიმსმა“ განაცხადა, რომ რედაქციის განკარგულებაში აღმოჩნდა დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ირანის მიერ ურანისა და დეიტერიუმის გამოყენებით შექმნილი ბირთვული მუხტების გამოცდის ოთხწლიანი გეგმა.

აჰმადინეჟადმა პუბლიკაციას მცდარი უწოდა, დოკუმენტს — ყალბი.

მისი თქმით, რედაქციის ხელში მხოლოდ შეთითხნილი ქაღალდების დასტა აღმოჩნდა, რომელსაც აშშ-ის მთავრობა თხზავს და ავრცელებს.

შეკითხვის პასუხად, მართალია თუ არა, რომ ირანს ბირთვული იარაღი არასადროს ექნება, აჰმადინეჟადმა განაცხადა, რომ მისი პოზიცია ამ საკითხში კარგად არის ცნობილი.

მისი თქმით, იანს ბირთვული ბომბი არ სჭირდება და იგი მისთვის მიუღებელია. ურანის გამდიდრების სამუშაოების შეჩერებაზე უარის გამო გაერომ ირანს უკვე სამჯერ დაუწესა საქციები.

გამორიცხული არ არის, რომ ახლო მომავალში ირანის მიმართ ახალი სანქციები მიიღონ, რადგან ამჯერად ირანმა ნაკლებად გამდიდრებული ურანის შემდგომი გამდიდრებისათვის ზაზღვარგარეთ გატანაზე და უკან გამდიდრებული, ბირთვული რეაქტორებისათვის საწვავად გამოსადეგი სახით დაბრუნების წინადადებაზე თქვა უარი.

აჰმადინეჟადის თქმით, ირანი მზად არის მოლაპარაკებებში მონაწილეობა „პატიოსან პირობებზე“ მიიღოს.

მისი თქმით, ირანი კონფრონტაციაზე არ მიდის, მაგრამ არც დაშინების უფლებას მისცემს ვინმეს და თუკი დასავლეთს ირანისათვის სანქციების დაწესება სურს, დაანწესოს.

აჰმადინეჟადმა გარდა ამისა, ირანის მისამართით ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით გამოთქმული ბრალდებებიც უარყო და კომეტარი გაუკეთა მასობრივ დაპატიმრებებს, რაც ივნისში ირანის პრეზიდენტის არჩევნების შედეგების გამოქვეყნებას მოჰყვა.

მისი თქმით, მსგავსი საკითხები სასამართლოში უნდა წყდებოდეს, ირანში არსებობს სასამართლო, კანონები, დაპატიმრებულებს ჰყავთ ადვოკატები და ბრალდებულთა გასამართლება პოლიტიკური საკითხი არ არის.

პრეზიდენტის თქმით, ადამიანს ირანში მეტი უფლებები აქვს, ვიდრე აშშ-ში.

სერბიას ევროკავშირში გაწევრიანება სურს

გავრცელებული ცნობების თანახმად, სერბიის პრეზიდენტს ბორის ტადიჩს, რომელიც შვედეთში გამგზავრებას სამშაბათს აპირებდა, ევროკავშირში გაწევრიანების ოფიციალური განაცხადის წარდგენა აქვს გადაწყვეტილი.

ევროკავშირის შემადგენლობაში 27 ქვეყანა ირიცხება. უკანასკნელად 2006 წელს ევროკავშირში ბულგარეთი და რუმინეთი მიიღეს. სერბია იმედოვნებს, რომ მომდევნო, 28-ე ქვეყანა გახდება.

ცოტა ხნის წინ ევროკავშირმა ბელგრადთან თავისუფალი ვაჭრობის შეჩერებული შეთანხმება ამოიქმედა. მრავალმა ექსპერტმა ეს გარემოება ევროკავშირში გაწევრიანების შესაძლებლობასთან დაკავშირებით დადებით ნიშნად აღიქვა.

მიუხედავად ამისა, სერბიის წევრობის მოლაპარაკებების დაწყებამდე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბარიერის დაძლევა იქნება საჭირო — დასაკავებელია ბალკანეთის ომების მონაწილე რამდენიმე პირი, რომელებსაც სამხედრო დანაშაულის ჩადენისათვის ეძებენ.

სერბია ვარაუდობს, რომ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ქვეყანამ ევროკავშირთან დაახლოების მიზნით დიდ წარმატებებს მიაღწია. კერძოდ, ამოქმედდა მნიშვნელოვანი სავაჭრო შეთანხმება, ევროკავშირის მრავალმა წევრმა ქვეყანამ ბელგრადთან ვიზიზ მიმოსვლის შეთანხმებას მოაწერა ხელი. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა, ჰოლანდია, მოითხოვს, რომ ევროკავშირში სერბიის გაწევრიანების აუცილებელ პირობად ყოფილი იუგოსლავიის სამხედრო დანაშაულის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ ძებნილი ორი სამხედრო პირის დაკავება უნდა იქცეს.

ერთ-ერთი მათგანია ბოსნიელ სერბთა არმიის ყოფილი სარდალი რატკო მლადიჩი, მეორე — ხორვატიის ტერიტორიაზე სამხედრო დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი გორან ჰაჯიჩი. გაიოოს ტრიბუნალი მლადიჩს 1992-95 წლების ბოსნიის ომის დროს სამხედრო დანაშაულისა და გენოციდის ბრალდებებს უყენებს.

ბრალდებების მთავარი ეპიზოდია მლადიჩის დაქვემდებარებული სამხედრო რაზმების მიერ ქალაქ სრებრენიცაში, 1995 წლის ივლისში შვიდი ათასზე მეტი ბოსნიელი მუსლიმანის დახოცვა.

მლადიჩი 14 წელია იმალება. 2008 წელს სერბიის უშიშროების ძალები მეტი ინტენსივობით შეუფდგნენ მის ძებნას.

მლადიჩისა და ჰაჯიჩის ძებნას გაეროს სპეციალური კომისია აღეკვნენ თვალს და სერბიის ხელისუფლების მიერ მიღებულ ზომებთან დაკავშირებით რეუულარულად აქვეყნებს ანგარიშებს.

მორიგი ანგარიში 2010 წლის ივნისში არის მოსალოდნელი და სერბიის ხელისუფლები მასზე დიდ იმედებს ამყარებენ.

ბელგრადი იმედოვნებს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი სერბი გამომძიებლების საქმითანობას ანგარიშში დადებითად შეაფასებენ, ამსტერდამმა ევროკავშირში სერბიის გაწევრიანების მოლაპარაკებების შემდგომი ეტაპის დაწყებასთან დაკავშირებით პოზიცია შეიძლება შეარბილოს. მიმომხილველების თქმით, სერბიის ევროკავშირისაკენ მიმავალ გზაზე არაერთი დაბრკოლება ელობება და ამ გზის გავლას შესაძლოა რამდენიმე წელი დასჭირდეს.

მოამზადა გენადი თავაურმა

TV პროგრამა

ხუთშაბათი 24 დეკემბერი

07.00 ჩვენი დილა **10.00**, **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.30** სერ. **"ანგელიას სახე"** **13.30** დოკ. ფ. "ველური ოქრო" **14.00** მეხსიერება **15.00** სერ. **"პირისპირ"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** დოკ. ფილმი "პირთვული იარაღის საიდუმლო" **19.05** მეხსიერება **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. **"ანგელიას სახე"** **22.00** დილაღეა **23.00** სერ. **"სულეიმანი მოიგზარდება"** (**12**) **00.00** ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით:
ა) მხ. ფ. **"სალი და მისი სამყარო"** (**12**) (ვ. ნიუფენი)
ბ) მხ. ფ.**"ყველაზე სწრაფი ინდიანი"** (**3**) (ე. ჰოპკინსი)

19.00 ან. ფილმი "პიტი და კენტროიდი" **19.25** ნანინა **19.40** პლანეტა ბასტი-ბუბუ **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. **"პირისპირ"** **22.00** სერ. **"ანგელიას სახე"** **23.00** სერ. **"სულეიმანი მოიგზარდება"** **23.50** მხ. ფილმი **"დიდი თეთრი ბეერიმი"** (U)

07.30 დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ბუარისძეების ცხენსლვა"** **11.00** ვის უნდა **20** ათასი **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **02.40** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდვეიისკენ"** **13.30** პიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფროსიდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დღე ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ფამილიასეულობისა"** **19.50** სერ.**"ანგელის საიდუმლო"** **22.00** პროფილი **23.40** სერ. **"ეშიმი პაუსი"** **00.40** პატრული **01.00** მხ. ფილმი **"სიყვარულის და მრავლობისა"** (**18**) (დ. კრეიგი)

08.00 მულტფილმი "კონანი" **09.00** გადაცემა "ტკბ ფილერი" **11.00** სერ. **"ბარნი ბამლია"** **12.00** სერ. **"ბუფალეი"** **12.45** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"ენი მოკანე სახუარკვეების მამულიდან"** **16.20** მხ. ფილმი **17.30** გადაცემა "ხმა საქართველოდან" **18.00** სერ. **"ბუფალეი"** **19.00** სერ. **"ჩანგლოვეფარიდ"** **20.00** ზღაპარიყო **20.15** ეტალონი **21.25** ვიტმორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ. **"ბეჯი შეფუარკვეული"** **23.30** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მ-კოდი **01.00** მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ოლგასი თაფაში"** **11.25** დოკ. ფილმი "ბოგზაურობა დედამიწის გარშემო" **12.00** სერ. **"ალინიკა"** **13.00** სერ. **"ბარაღდიული გრანოლა"** **15.00** ნანუკას შოუ (გან.) **16.00** სერ. **"ანარისსეფული ანგელოზი"** **17.30** დოკ. ფილმი "ბოგზაურობა დედამიწის გარშემო" **18.00** სერ. **"ლაბირინთი"** **19.05** სერ. **"ბარაღდიული გრანოლა"** **21.00** სერ. **"ბურისძეების ნილაბი"** 1-ელი ს. **22.00** მხ. ფილმი **"ნოელი"** (U) (ვ. კრუსი) **00.00** სერ. **"24-5"** **01.00** მხ. ფილმი **"საშობაო ზღაპარი"** (U) (ჯ. სტამოსი) **02.40** ქრონიკა **02.55** სერ. **"ალონი"**

08.00, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.50** მხ. ფილმი **"ანდიარმი და ანდიარმი ანალეგი"** **10.30**, **19.30** სერ. **"მრავალრიგ"** **11.45**, **21.00** სერ. **"ცხოვრების ანაცვლებლში"** **12.45** მხ.ფ.**"მოგზაურის დაბადება"** **14.50** "სცენა" **15.20** მხ. ფილმი **"სიმონა"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოოსტატი **23.00** მხ. ფილმი **"ნოელი"** **00.35** მხ. ფილმი **"ოპერაციის "ბილოსაკენ ახალ ფენლ"**

ერთსულოვნება **09.10** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** გადაცემა "პერსპექტივა" **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შეიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.05** საგალობელი **12.05**, **15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფ. **"ერთი ცის ქვეშ"** **13.30** კონცერტი **15.10** დოკ. სერ. "გეპატიფუბოთ ბარტ ვეულეი" **15.35** მხ. ფილმი **"ძვირფასი დარჩენილნ"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** ტრაპეზი **18.05** ჩვენ ეუკრავთ ელანაკას **18.30** საბ. არქივიდან **19.15** მხ. ფილმი **"სამანიშვილის ფენდინაველი"** **20.35** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.25** მინაბამოქმედი **22.00**, **00.00** სიახლენი **22.20** ბარბარობა **22.30** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მართლ. ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი". დოკ. ფილმი "სტუმრად პატრიარქთან"

პროგრამები იბეჭდება საააგენტო „ინფორზარის“ ნებართვით

სამგლოვიარო განცხადებები



ქალიშვილი ქეთი ჭავჭანიძე, დისშვილი ტატა მირიანაშვილი, დის შვილიშვილი თათია ბეჟიტაშვილი, სიძე გოგა ნუცუბიძე, შვილიშვილი თემიკო ნუცუბიძე, ახლობლები და ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი გერმანისტი, მრავალი წიგნისა თუ სამეცნიერო შრომის ავტორი, თაობათა აღმზრდელი, ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი პედაგოგი, მუდამ ადამიანური სითბოთი სავსე, ქალბატონი

ნათელა ნოეს ასული ნადარეიშვილი

დაკრძალვა: 24 დეკემბერს, **14** საათზე.
მისამართი: თამარაშვილის ქ.№11.

თავდაცვის ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობა, სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალი და პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ლვაწლმოსილი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება, ბატონი

ალექსანდრე ბენდიანიშვილი

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ომარ და გერტა ლეკვეიშვილები სამძიმარს უცხადებენ ლელა ბენდიანიშვილს მამის

ალექსანდრე ბენდიანიშვილის

გარდაცვალების გამო.

გელა და ნუნუ ხუციშვილები, ელვერ და მერი კუპატაძეები, არსენ და ია გვიმრაძეები თანაგრძნობას უცხადებენ ლელა ბენდიანიშვილს მამის

ალექსანდრე ბენდიანიშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ელზა, შვილები მაია და კახაბერი, შვილიშვილები ლევან და მარიამ ენუქიძეები, ირაკლი ყლენტი, სიძე დავით ენუქიძე, რძალი ირმა ქავთარაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ ბესარიონის ძე ყლენტი

პანაშვიდი: 24, 25 დეკემბერს, 17 საათზე, ვაჟა-ფშაველას გამზირი №97, II სადარბაზო.
გამოსვენება: შაბათს, 26 დეკემბერს, 14 საათზე, ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაო).

დედა მანანა ღლონტი, მამა ვახუშტი თელია, ძმა კოკა თელია, ბებია ნანი ღლონტი, დეიდა თამილა ღლონტი, ბიძა რეზო თელია ოჯახით, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი (გიგი) ვახუშტის ძე თელია

პანაშვიდი: 24, 25 დეკემბერს, 16 საათზე.
დაკრძალვა: 26 დეკემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ქ.თბილისი, ზანდუკელის (ყოფ. ჯაავახიშვილის) ქ. №21.

გოგი ბერიაშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვიტალი ფეტელავას ბაბუის

შალვა ფეტელავას

გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა: 26 დეკემბერს, 14 საათზე, მარტვილის რაიონის სოფელ თამაკონში.

კ.ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ლვაწლმოსილი თანამშრომლის

ელიზაპეტა (ლიდა) სულხანიშვილის

გარდაცვალების და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, ქვირის ბარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

საქართველოს ეროვნული ბანკი 2009 წლის 24 დეკემბრის მდგომარეობით უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დაადგინა:

აშშ დოლარი — 1,6825

ევრო —2,4035

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536

რუსული რუბლი — 0,0533

ალმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 7-14, ღამით — 9-2

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 16-18, ღამით — 8-11

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 9-19, ღამით — -13-6

ამინდის პროგნოზი 24 დეკემბრისთვის

ქართული ფლორის საოცრება „სალხინო"

უეგბარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

"სალხინის" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

ქრიშტიანე რონალდუ: „მიხარია, რომ პირველი ჯილდო მე მერგო"

გასული წლის ფიფას საუკეთესო ფეხბურთელი ჯრიშტიანე რონალდუ წელს მხოლოდ მეოთხეობას დასჯერდა, მაგრამ ეს ნომინაციაში მაინც იმარჯვა. ფიფას მიერ დანესებული ახალი პრიზი, რომელიც ფერენც პუშკაშის სახელს ატარებს და წლის საუკეთესო გოლის ავტორს გადაეცემა, პრიტუგალიელ ფეხბურთელს ეჩგო. საუკეთესო გოლი ჯ რონალდუმ 2008-09 წლის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ჯერ ჯიდევ „მანჩესტერში" თამაშისას პორტუგალიელ „პორტუს" გაუტანა. რონალდუს პრიზი პუშკაშის ქერეტა, ელიზაბეთმა გადასცა.



ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ, სადაც რონალდუ ახალგაზრდა კლუბ „რეალთან" ერთად ლა ლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობს, თუმცა, მისი ყველაზე დიდი იმედები 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისკენ არის მიპყრობილი, სადაც პორტუგალიის ნაკრებთან ერთად წარმატების მიღწევას გეგმავს.

— თქვენ ფერენც პუშკაშის პრიზის მფლობელი გახდით, რომელიც ფიფამ წელს დააწესა ყველაზე ლამაზი გოლის გატანისთვის. „პორტუს" კარში მართლაც ჩინებული გოლი გაიტანეთ, იმ ეპიზოდს ხომ ვერ გაიხსენებდით?

— მართლაც ფანტასტიკური გოლი იყო! ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ის გოლი მე გავიტანე. შეუდარებელი დარტყმა გამომივიდა, მაგრამ თუ იმის ახსნას მომთხოვთ, როგორ შევძელი მისი განხორციელება, პასუხს ვერ გაგცემთ. აღნიშნული ჯილდოს მოპოვება კი ჩემთვის დიდი პატივია. მიხარია, რომ ფიფამ კიდევ ერთი პრესტიჟული ჯილდო დააწესა და მე მერგო.

— 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრები რთულ ჯგუფში მოხვდა. რა აზრმა გაგიელვათ თავში, როდესაც წილისყრის შედეგები შეიტყვეთ?

— მართლაც რთული ჯგუფია — ბრაზილია, კოტ დივუარი და ჩრდილოეთ კორეა ჩინებული გუნდები არიან, მაგრამ მუდმივად მათზე ფიქრი კარგ საქმეს არ მოგვიტანს. ახლა მთავარია სამხრეთ აფრიკაში ყველას ვაჩვენოთ,

გაგრძელება მე-9 გვერდზე

იშვიათი ჯიშის ვეფხვის შეჭამის გამო ჩინელ გლეხს 12 წელი მიუსაჯეს

ჩინეთის სამხრეთით მდებარე ერთ-ერთი რაიონის მკვიდრი კან ვან ნიანი ამტკიცებს, რომ მიმდინარე წლის თებერვალში სათევზაოდ იყო წასული, როდესაც ვეფხვს გადაეყარა და თავდაცვის მიზნით იძულებული გახდა მოეკლა იგი.

შემდეგ ვეფხვის ხორცისაგან სადილი მოამზადა და ოთხ მეგობარსაც გაუმასპინძლდა, რომლებსაც იშვიათი ცხოველის შეჭმისა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მაკა მახარაძე საახალწლო სპექტაკლებს წარმოადგენს

ეკა ირემაშვილი

მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია, რომელიც უკვე 14 წელია არსებობს, ტრადიციას არც ამჯერად დაარღვევს და მაყურებელს საახალწლო სპექტაკლებს შესთავაზებს. მაკა მახარაძის საბალეტო სკოლაში პატარები საბალეტო ხელოვნებას 5 წლიდან ეუფლებიან. მათთან ხუთი პედაგოგი მუშაობს.

წელს საახალწლო განწყობის შექმნას მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია და მისი 60 აღსაზრდელი ფრანგული ზღაპრების მიხედვით დადგმული სპექტაკლით შეეცდება. ისინი რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე საახალწლო სპექტაკლებს ექვსი დღის განმავლობაში გამართავენ.

მაკა მახარაძე:

— წელს ჩვენ ნამდვილად განსაკუთრებული წარმოდგენები გვექნება. ჩვენ ვახორციელებთ პროექტს ეთერ ანჯაფარიძესთან ერთად. იგი სპეციალურად ჩვენთვის ჩამოდის ამერიკიდან და

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ყველამ გაითვალისწინეთ!

პოზიტიური დღეა

ვერძი — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად იცით. **ქირჩხიები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, დაჯილდოვდებით. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **სასწორი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ღრმანაკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **თხის რქა** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება ვიღაც ჩამოვიდეს. **მერწყული** — არ აყვეთ პროვოკაციას, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **თევზები** — მეგობრებს შეხვდებით, მათგან კარგ ამბავს გაიგებთ.

ასტროპროგნოზი 24 დეკემბრისთვის

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი >



ვერტიკალურად: 1. მშრომელი, დიდად ნაჯაფი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. რბილი, ფერადი სახატავი ფანქარი; 3. სირიის პრეზიდენტი; 4. წიაღისეულის, მადნის მოპოვებისა და დამუშავების ადგილი; 5. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 10. იაფფასიანი, ბულგარული ჟურნალ-გაზეთების სახელწოდება აშშ-ში; 11. მე-20 საუკუნის ქართველი მხატვარი; 12. უკრაინული ლუდი; 15. ამერიკული სამხედრო ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 16. ტყეში ბინადარი ეკლებიანი ცხოველი; 17. ქოსა მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 20. კურდღელზე, მელიაზე სანადირო გამოყენებული ინგლისური ძაღლის ჯიში.

თარაზულად: 6. მდინარე მადრიდში; 7. თაფლისგან მომზადებული მათრობელა სითხე; 8. წვრილად დაჭრილი, შეკაზმული, შემწვარი ხორცის ფრანგული კერძი; 9. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 13. ლატვიის დედაქალაქი; 14. მსხლის ჯიში; 18. ნიანგის ერთ-ერთი სახეობა; 19. ყველაზე დიდი მდინარე ევროპაში; 21. თურქეთის პრეზიდენტი; 22. მონღოლი ჯარისკაცი; 23. ოსური ხაჭაპური; 24. კოსოვოს დედაქალაქი.

შეადგინა თ. კობალეიშვილმა

იუმორი

***

— ძნელია თვალი გაუსწორო სიმარტლეს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი იგი შიშველია...

***

— გაცნობის საიტზე ანკეტებს ვათვალიერებდი, ვიღაც 34 წლის ლაურა „ფულის სანაცვლოდ სექსზე" იყო თანახმა. ფოტოსურათი რომ ვნახე, მივხვდი, რომ ფულის გადახდას თავად აპირებდა...

***

— შიშველ ქალთან კამათი ძალიან ძნელია...

***

— ღამე მთვრალი სადაც წაიქცევი, პლანეტარიუმიც იქ არის...

***

მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს:

— ელემენტარული ცნებებით დავიწყოთ. რომელია ყველაზე მარტივი გეომეტრიული ფიგურა?

— წერტილი.

— ყოჩაღ, ოდნავ უფრო რთული?

— ორი წერტილი...

***

— მომავალ კვირას აკაპულკოში მივფრინავ!

— რა, მაჩო ხარ!

— ცოლთან ერთად მივფრინავ.

— რა სულელი მაჩო ხარ...

გ.თ.

იცავთ თუ ახა ბიზნეს-ეტიკეტს?

1. მაგიდასთან შეფის გვერდით დაჯდებით თუ თქვენთვის არასასიამოვნო პიროვნების გვერდით?

ა. მოგვიანებით ვისადილებ. ბ. იმ პიროვნებასთან. გ. შეფთან.

2. დავალება მოგცათ როგორც შეფმა, ასევე დირექტორმა. როგორ მოიქცევით?

ა. ყველაფერს რიგის მიხედვით დავიწყებ. ბ. ბოლო დავალებით დავიწყებ. გ. შეფს ვკითხავ.

3. შემთხვევით შეიტყვეთ შეფის და მისი მდივნის კავშირის შესახებ. თქვენ:

ა. კოლეგებს გაგაგებინებთ. ბ. საიდუმლოს შეინახავთ. გ. დაივიწყებთ.

4. რა არის საჭირო სამსახურში დასაწინაურებლად?

ა. პროტექცია. ბ. პირადი მომხიბვლელობა. გ. შრომა და ინტელექტი.

5. რა თემებზეა დასაშვები საუბარი სამსახურში კოლეგებთან.

ა. თანამშრომლებთან ურთიერთობაზე. ბ. ოჯახურ პრობლემებზე. გ. პოლიტიკასა და ხელოვნებაზე.

6. სამსახურში კოსტუმში უნდა გამოცხდდეთ, თქვენ კი ეს არ გიყვართ.

ა. სხვა სამსახურს მოძებნით. ბ. გამოარკვევთ, იქნებ გამონაკლისი დასაშვებია. გ. წესებს დაემორჩილებით.

7. შეფმა თქვენი სამუშაო არ მოიწონა, მაგრამ მიზეზი არ აუხსნია. თქვენ:

ა. მიზეზებს კოლეგებთან გამოარკვევთ. ბ. არაფერს მოიმოქმედებთ. გ. პირადად მასთან გამოარკვევთ მიზეზს.

პასუხები

ა — 1 ქულა. ბ. — 2 ქულა. გ. — 3 ქულა

7-11 ქულა: საქმიანი ეტიკეტის წესებს სუსტად იცნობთ, ხანდახან თავშეკავება გელალტობთ და ჭირვეული ბავშვივით იქცევთ.

12-16 ქულა: ახერხებთ საჭირო ტონის მოძებნას, თუმცა კოლეგებთან საქმიან ურთიერთობას ხშირად მეგობრულით ცვლით.

17-21 ქულა: ყოველთვის ღირსეულად იქცევთ. ახერხებთ პირდაპირობის გამოვლენას და იმავდროულად დელიკატურობის შენარჩუნებას. ინტრიგები თქვენთვის უცხოა.

გ.თ.